კვლევის ანგარიში

„არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“

ავტორები:

ანტონ ქელბაქიანი

ნატალია ცაგარელი

გიორგი ტურაზაშვილი

„არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“

კვლევის ანგარიში

ავტორები

ანტონ ქელბაქიანი

ნატალია ცაგარელი

გიორგი ტურაზაშვილი

სარჩევი

შესავალი 4

კვლევის მიზანი 5

კვლევის სტრუქტურა 5

კვლევის მეთოდოლოგია 6

ძირითადი მიგნებები 7

რეკომენდაციები 7

I ნაწილი

ნაწილი 1. სისხლის სამართლებრივი გამოძიება/დევნა 10

1.1 კანონიერი და საპროცესო წარმომადგენლის მონაწილოება . 10

1.2 დაცვის უფლება 16

1.3 დაკავება/არასრულწლოვანი მოწმის დაცვის უფლება 19

1.4 ფსიქოლოგის მონაწილეობა 23

ნაწილი 2. სასამართლო განხილვის ეტაპი 25

2.1 წარსულში გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, როგორც სტიგმა 25

2.2 ინდივიდუალური შეფასების ანგარიში სასჯელის დანიშვნისას 28

ნაწილი 3. ხარისხის კონტროლის სისტემა 35

3.1 ანალიზი და შეფასება 35

3.2 სპეციალიზაციის გავრცელების სფერო 39

3.3 დაკითხვის/გამოკითხვის სახელმძღვანელო პრინციპები 42

3.4 ბავშვისთვის მეგობრული გარემო 45

ნაწილი 4. სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი 48

4.1 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმა 49

4.2 სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო

გეგმა 49

4.3 ზოგადი ანალიზი 50

II ნაწილი

პრაქტიკის (დარულებული საქმეების) ანალიზი

ნაწილი 1. შესავალი 54

ნაწილი 2. სისხლის სამართლის საქმეების შესწავლის მეთოდოლოგია 56

ნაწილი 3. არასრულწლოვანთა მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეებში გამოკვეთილი ხარვეზები 57

ნაწილი 4. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება 58

ნაწილი 5. პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში 61

ნაწილი 6. არასრულწლოვანთა მიმართ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო 63

ნაწილი 7. არასრულწლოვანთა დაკავების კანონიერი საფუძველი 63

ნაწილი 8. საგამოძიებო მოქმედებების დოკუმენტირება 64

ნაწილი 9. რეკომენდაციები 65

კვლევის ანგარიში გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭრით. კვლევის პირველი ნაწილი მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ მკვლევართა გუნდის მიერ. კვლევის მეორე ნაწილი მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის მიერ. ავტორების მიერ საინფორმაციო მასალებში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხიმგებელი მასალის შინაარსზე.

შესავალი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ (2016 წლის 1 იანვრიდან, ნაწილობრივ 1 მარტიდან), სხვადასხვა უწყებებს დაეკისრათ ვალდებულება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, ჩამოეყალიბებინათ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ გამოსაყენებელი დეტალური პროცედურები და პრაქტიკა, რომელიც მოიცავდა პერიოდს სამართალდამცავ ორგანოებთან ბავშვის პირველი კონტაქტიდან სასამართლო განხილვის ჩათვლით (ასევე სასჯელის აღსრულების ნაწილსაც). აღნიშნულ სამართლებრივ აქტებმა უნდა დაარეგულიროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანი იმპლემენტაციის პროცესი. „პეკინური წესები“ განმარტავს: „ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ადმინისტრირების ფარგლებში შეიქმნას მუდმივი შეფასებითი გამოკვლევის მექანიზმი და შეგროვდეს და გაანალიზდეს სათანადო მონაცემები და ინფორმაცია ადმინისტრირების შეფასების, მომავალში გაუმჯობესებისა და რეფორმირების მიზნით“[1]. გარდა ამისა, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ - ... „განხილული პრინციპებისა და უფლებების სრულად დაცვის მიზნით, საჭიროა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების ეფექტური ორგანიზება და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო სისტემის შექმნა“[2].

ვიწრო გაგებით, კანონმდებლობის რეფორმა გულისხმობს მხოლოდ არსებული კანონის შეცვლას ან ახალი კანონის მიღებას. თუმცა პრაქტიკაში აღნიშნული პროცესი გაცილებით მრავალმხრივია და სცდება სამართლებრივი ჩარჩოს უბრალო გადასინჯვას და მასში ცვლილებების შეტანას. საკანონმდებლო რეფორმა მოიცავს: პოლიტიკის, საბიუჯეტო და ადამიანური რესურსების გათვალისწინებას; ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და ინსტიტუციათა შორის კომუნიკაციის სისტემის შეფასებას; პროფესიულ გადამზადებასა და პროფესიულ პრაქტიკას; კანონის იმპლემენტაციის პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას; გარდამავალ ეტაპზე გასატარებელ ღონისძიებებს[3] და იმპლემენტაციის პროცესში მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის სისტემას.

მართალია, არაერთხელ იქნა შეფასებული ახალი კოდექსის მნიშვნელობა და პროგრესულობა, თუმცა არ განხორციელებულა დეტალური ანალიზი რამდენად არის უზრუნველყოფილი მისი ერთგვაროვნად განმარტება მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ცალკეული უწყებების მიერ. არ მომხდარა კოდექსის გააზრება პრაქტიკაზე დაკვირვების საფუძველზე და ხარისხის

[1] პეკინური წესები, წესი 30.3.

[2] გაეროს ბავშთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პ.90.

[3] არასრულწლოვანთა მართლ მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011 წ, გვ.12.

კონტროლის ეფექტიანი სისტემის შექმნის ჭრილში. აღნიშნული ხარვეზი ქმნის რისკს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა (პრაქტიკული იმპლემენტაციის ეტაპი) წარიმართება არასწორი მიმართულებით და სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს შორის ჩამოყალიბდება არაერთგვაროვანი პრაქტიკა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თაობაზე გამართულ შეხვედრებზე, ცალკეული უწყების წარმომადგენლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან არაერთხელ გაესვა ხაზი ხარისხის კონტროლის მნიშვნელობას, აგრეთვე აღინიშნა, რომ არსებობს მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები, რომლებიც არაერთგვაროვნად განიმარტება ან ბოლომდე გარკვეული არ არის, თუმცა იმპლემენტაციის პროცესში საჭიროებს შემდგომ დეტალურ რეგულირებასა და განმარტებას.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ, ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობას მოახდინოს სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვან ბრალდებულ-თა უფლებების დაცვის ხარისხის **შეფასება, ხარვეზების გამოვლენა და გაანალიზება**. ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ როგორც სამთავრობო სტრუქტურების, აგრეთვე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ყველა სხვა სუბიექტის მხრიდან მოხდეს არასრულწლოვან ბრალდებულებთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობის **ერთგვაროვანი ინტერპრეტაცია** და **იმპლემენტაცია**.

კვლევის სტრუქტურა

კვლევის ფარგლებში, შესწავლილ იქნა სისხლის სამართლის პროცესში არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებების რეალიზაციის პროცესი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსის ამოქმედების შემდეგ (2016 წლის 1 იანვრიდან). გაანალიზდა როგორც კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, ასევე არსებული პრაქტიკა და ზოგადად სახელმწიფო პოლიტიკა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის კუთხით. კვლევა მოიცავს პროცესს არასრულწლოვანი ბრალდებულის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან პირველი შეხებიდან, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის დროს გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები:

სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი - აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში, მოხდა კვლევისათვის საჭირო საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა სხვადასხვა უწყებებიდან. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საშუალებით შესაძლებელი გახდა ინფორმაციის მიღება 2016 წლის განმავლობაში არასრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ არსებული სპეციფიური მიდგომების და არსებული დინამიკის შესახებ;

- **არსებული სიტუაციის (კანონმდებლობის, პრაქტიკის, პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების) ანალიზი** - გულისხმობს, მართლმსაჯულების სფეროში არსებული კანონმდებლობის (ნორმატიული აქტების) ანალიზს არასრულწლოვან ბრალდებულთა საჭიროებების ჭრილში, აგრეთვე არსებული პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს და სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების (სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების) შეფასებას;

- **დასრულებული საქმეების ანალიზი** - წინასაწარი შეთანხმების საფუძველზე, სახალხო დამცველის ოფისის მიერ, სასამართლოებიდან გამოთხოვილ იქნა არასრულწლოვანთა დასრულებული სისხლის სამართლის საქმეები. განხორციელდა აღნიშნული საქმეების (დეპერსონიფიცირებულად) ანალიზი არასრულწლოვან ბრალდებულთა უფლებების რეალიზაციის კუთხით, რაც აისახა კვლევის ერთიან ანგარიშში;

- **ფოკუს ჯგუფები - ფოკუს ჯგუფები** არის მეთოდი, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფს საკვლევ საკითხზე ინფორმაციის მიღებას. მეორე მხრივ, ფოკუსირებული დისკუსიისას იქმნება ერთგვარი მიკრო სოციალური ჯგუფის მოდელი, რესპოდენტთა ერთობლივი მსჯელობა ხელს უწყობს საკვლევ თემაზე დისკუსიას, ჯგუფური გავლენის ხარისხის იდენტიფიცირებას და საკვლევი საკითხის შესახებ მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღებას;

- **ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი (ნახევრად-სტრუქტურირებული)** - გულისხმობს რესპოდენტების მხრიდან ინფორმაციის მიღებას საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, მათი დამოკიდებულებებისა და ხედვების შესახებ;

ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზებულ **25** ადვოკატთან (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი - 18, კერძო ადვოკატი - 7), **14** პროკურორთან და **8** მოსამართლესთან (თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში). ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა **5** ბრალდებული არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელთან. არაერთი მიმართვის მიუხედავად,

სამწუხაროდ ვერ მოხერხდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალიზებულ პოლიციის თანამშრომლებთან შეხვედრა.

კვლევა წარმოდგენილია ორ ნაწილად. <u>პირველ ნაწილში</u> ასახულია კვლევის ის კომპონენტი, რომელიც დამუშავდა სიტუაციური ანალიზის, ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების შედეგად. აღნიშნული ნაწილი მომზადებულ იქნა აიაპ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ მკვლევართა ჯგუფის მიერ. <u>მეორე ნაწილი</u> მომზადებულ იქნა სახალხო დამცველის აპარატის მიერ, არასრულწლოვანი ბრალდებულების დასრულებული საქმეების ანალიზის შედეგად (შესწავლილი იქნა 8 სისხლის სამართლის საქმე).

ძირითადი მიგნებები

კვლევის შედეგად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პრაქტიკული იმპლემენტაციის პროცესში, გამოიკვეთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომელთა გადაჭრისთვისაც მნიშვნელოვანია აქტიური ნაბიჯების გადადგმა. ხარვეზები გამოიკვეთა, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე პრაქტიკაში, შესაბამისი ნორმების არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის კუთხით. გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, ამ ეტაპზე, ფაქტობრივად არ არსებობს ხარისხის კონტროლის ეფექტიანი სისტემა. ხარვეზები გამოიკვეთა, ასევე სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე არსებულ ხედვებთან დაკავშირებითაც.

რეკომენდაციები

- **განხორციელდეს ცვლილება არასრულწლოვანთა მართლ-მსაჯულების კოდექსში და განისაზღვროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკების (საპროცესო წარმომადგენლების) სპეციალიზაციის ვალდებულება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში;**
- **შემუშავდეს სპეციალური ტრენინგ-მოდულები და განხორციელდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების იმ სოციალური მუშაკების გადამზადება, რომლებსაც წინასწარ ექნებათ განსაზღვრული საჭიროების შემთხვევაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართვის ვალდებულება;**
- **დაიწყოს მსჯელობა სოციალური მომსახურების სააგენტოში სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობასთან დაკავშირებით;**
- **განხორციელდეს ცვლილებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში და 18-დან 21 წლის ასაკის**

ბრალდებულების უფასო იურიდიული დახმარება განისაზღვროს როგორც სახელმწიფოს ვალდებულება;

- განხორციელდეს იურიდიული დახმარების სამსახურის ადამიანური და მატერიალური რესურსების გაზრდა;
- განხორციელდეს ცვლილებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში და განისაზღვროს 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი მოწმის დაცვის ვალდებულება საკანონმდებლო დონეზე;
- განხორციელდეს ცვლილებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს აეკრძალოთ კომუნიკაცია 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვან მოწმესთან კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლისა და დამცველის დასწრების გარეშე, გარდა უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული საფუძვლებისა, რაც წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული საკანონმდებლო დონეზე;
- დაიწყოს მსჯელობა იურიდიული დახმარების სამსახურში ადვოკატების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობასთან დაკავშირებით;
- სისტემატურად განხორციელდეს მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ პირთა საქმიანობის ხარისხის კონტროლი;
- შევიდეს ცვლილებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში და განისაზღვროს ის კრიტერიუმები, თუ რა შემთხვევებში უნდა მოხდეს ფსიქოლოგის ჩართვა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში;
- ფსიქოლოგებმა, რომლებიც მონაწილეობენ გამოკითხვა/დაკითხვის პროცედურებში, გაიარონ გადამზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპების, ასევე მათი პროცესუალური როლის შესახებ;
- შევიდეს ცვლილებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში და წარსულში გამამტყუნებელი განაჩენის, როგორც დამამძიმებელი გარემოების არსებობა, ამოღებულ იქნას კანონმდებლობიდან;
- განხორციელდეს ცვლილებები ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მეთოდოლოგიის, წესის, სტანდარტის განსაზღვრის შესახებ ერთობლივ ბრძანებაში[4], რის საფუძველზეც განისაზღვრება ანგარიშის მომზადების ვადები და ანგარიშის მომზადების მოთხოვნაზე უფლებამოსილი სუბიექტები. კერძოდ, საპროცესო შეთანხმებისას, ანგარიშის მოთხოვნის უფლება დაეკისროს პროკურორს. ანგარიშის მომზადების ვადად, ორივე შემთხვევაში განისაზღვროს, მინიმუმ 10 სამუშაო დღე;
- <u>ჩამოყალიბ</u>დეს სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური

4 საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №132/№95/№23.

შეფასების ანგარიშის წარმოებისა და განმარტების სახელმძღვანელო პრინციპები ამ პროცესში ჩართული ყველა სუბიექტისთვის;

- მოსამართლეს/პროკურორს მიეწოდოს სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიში დასკვნის სახით და არ მოხდეს შეფასების საფუძვლად გამოყენებული კითხვარის სრულად გადაგზავნა, სადაც ხშირად ასახულია ისეთი სახის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები, რაც რეალურად არ არის რელევანტური სასჯელის შეფარდების მიზნისთვის;

- დაიწყოს მსჯელობა პრობაციის ეროვნულ სააგენტოში სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

- შევიდეს ცვლილებები მთავრობის დადგენილებაში და ჩამოყალიბდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მუშაობის მსურველ პირთა შერჩევის კრიტერიუმები. ასევე განისაზღროს ისეთი ტიპის რეგულაციები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის პროფესიონალთა გადამზადების უწყვეტი პროცესის არსებობას ყველა შესაბამის უწყებაში;

- მართლმსაჯულების პროცესში ჩართულმა ყველა უწყებამ, შეიმუშაოს და ჩამოაყალიბოს ხარისხის კონტროლის ეფექტიანი შიდა სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება კვლევებისა და ანალიზის განხორციელებაზე;

- ჩამოყალიბდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზაციის სტანდარტების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები ისეთ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, სადაც არასრულწლოვანი მოწმე ან/და დაზარალებული მონაწილეობს;

- ნორმატიულად ჩამოყალიბდეს, როგორ კანონთან კონფლიქტში მყოფი, ასევე მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვანი პირების გამოკითხვის/დაკითხვის სახელმძღვანელო პრინციპები და განხორციელდეს შესაბამის პროფესიონალთა გადამზადება;

- უზრუნველყოფილი იქნას სპეციალური სტანდარტების ჩამოყალიბება ბავშვისთვის მეგობრული გარემოს უზრნველყოფის მიზნით, მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოებში, დაიგეგმოს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა საშუალოვადიან და გრძელვადიან პრესპექტივაში;

- არასრულწოვანთა მართლმსაჯულების სფეროს შემდგომი რეფორმირების და სტანდარტების დახვეწის სამოქმედო გეგმებში ინდიკატორები განისაზღვროს “SMART” პრინციპით;

- სამოქმედო გეგმებში თითოეული აქტივობის შესრულების მიზნით, განისაზღვროს კონკრეტული მოცულობის თანხა და მისი მოძიების გზები;

- **სამოქმედო გეგმებში თითოეული აქტივობის შესრულებაზე განისაზღვროს თითოეული პასუხისმგებელი უწყების როლი და ფუნქცია;**
- **სამოქმედო გეგმებში კონკრეტული აქტივობის საჭიროება განისაზღვროს მტკიცებულებებზე დაყრდნობით;**
- **სამოქმედო გეგმებში კონკრეტული აქტივობის შერულებასთან დაკავშირებით განისაზღვროს რისკ-ფაქტორები, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მის შესრულებას;**
- **სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების განსაზღვრა განხორციელდეს სხვადასხვა უწყებებთან კოორდინირებულად, იმ მიზნით, რომ არ მოხდეს გეგმებში ასახული აქტივობების გადაფარვა.**
- **პროკურატურამ მხოლოდ სათანადო დასაბუთებით, გადაუდებელი აუცილებლობისას დააკავოს არასრულწლოვანი პირი სასამართლოს განჩინების გარეშე;**
- **საგამოძიებო მოქმედებების შედეგები ყოველთვის დაფიქსირდეს შესაბამის ოქმებში;**
- **საგამოძიებო მოქმედების გადაუდებელი აუცილებლობით, ღამის საათებში ჩატარების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები სრულად მიეთითოს შესაბამის ოქმში;**
- **პროცესის მწარმოებელი პირების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი მოთავსდეს თითოეულ სისხლის სამართლის საქმეში;**
- **არასრულწლოვანი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობისას, თავად არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით, პროკურატურამ გამოხატოს დისკრეციული ნება და დროულად მიმართოს შესაბამის უწყებას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მოთხოვნით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული არ არის სავალდებულო გამოძიების ეტაპზე;**
- **ინდივიდუალური შეფასების ანგარიში მომზადდეს დროულად, ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებამდე, როდესაც ანგარიშის მომზადება სავალდებულოა კანონით.**

I ნაწილი

ნაწილი 1. სისხლის სამართლებრივი გამოძიება/ დევნა

1.1 კანონიერი და საპროცესო წარმომადგენლის მონაწილეობა

საერთაშორისო ინსტრუმენტები აღიარებს კანონიერი და საპროცესო წარმომადგენლის მონაწილეობის მნიშვნელობას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში - *„სასურველია*

მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლების სასამართლო პროცესზე დასწრება, რადგან ისინი ფსიქოლოგიურ და მორალურ მხარდაჭერას უწევენ ბავშვს.... მონაწილეობა უნდა ემსახურებოდეს, ბავშვის მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევაზე ეფექტურ რეაგირებას."[5] *„არასრულწლოვნის დაკავებისას მის მშობლებს ან მეურვეს ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ, ხოლო თუ დაუყოვნებელი ინფორმირება შეუძლებელია, მშობლებს ან მზრუნველს უნდა ეცნობოს მოგვიანებით, შეძლებისდაგვარად მოკლე დროში".*[6] *გარდა ამისა, „მშობლებს ან მეურვეს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ პროცესის მსვლელობისას და კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია მოითხოვოს მათი დასწრება არასრულწლოვნის ინტერესის გათვალისწინებით."*[7]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, დამკავებელი პირი, არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე, მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობებს არასრულწლოვანის ადგილსამყოფელს და აცნობს მისი დაკავების მიზეზსა და უფლებებს.

არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ტერმინს „კანონიერი წარმომადგენელი" შემდეგნაირად განმარტავს - *„არასრულწლოვნის ახლო ნათესავი, მხარდამჭერი, მეურვე, მზრუნველი, რომელიც არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს და სარგებლობს არასრულწლოვნის უფლებებით, გარდა იმ უფლებებისა, რომლებიც თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანმა ისარგებლოს".*

„საპროცესო წარმომადგენელი" კი არის მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის მიერ დანიშნული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი ან სხვა სანდო პირი, რომელიც კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას არასრულწლოვნის სახელით და მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად. საპროცესო წარმომადგენელი სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებითაც კანონიერი წარმომადგენელი. თუ კანონიერ წარმომადგენელთან დაკავშირება ვერ ხერხდება, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი ამის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომელიც საპროცესო წარმომადგენლად ასახელებს თავისი თანამშრომლის კანდიდატურას. <u>საპროცესო წარმომადგენელი ინიშნება:</u> თუ პროცესში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან 1 საათის განმავლობაში

[5] გაეროს ბავშვის უფლებათა ზოგადი კომენტარი #10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 40 (2) (ბ).

[6] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრუწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები), ნაწილი ორი, მუხლი 10.1.

[7] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრუწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები), ნაწილი ორი, მუხლი 15.2.

შეუძლებელია, არასრულწლოვანი არ ცხოვრობს კანონიერ წარმომადგენელთან, ან უარს აცხადებს მასთან დაკავშირებაზე და პროცესში მის მონაწილეობაზე, კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლი ან თვითმხილველია, კანონიერი წარმომადგენელი იმავე დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული, კანონიერი წარმომადგენელი ხელმიუწვდომელია. სხვა სანდო პირი საპროცესო წარმომადგენლად ინიშნება არასრულწლოვნის მოსაზრების გათვალისწინებით.

„საპროცესო წარმომადგენელი უფლებამოსილია: ა) პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირთან გამოთქვას მოსაზრება არასრულწლოვნის საჭიროებების შესახებ; ბ) ურთიერთობა ჰქონდეს არასრუწლოვნის ახლო ნათესავთან, ადვოკატთან და მეგობართან; გ) არასრულწლოვანს აცნობოს ჯანმრთელობის დაცვის, ფსიქოლოგიური ან სოციალური მომსახურებისა და მისი მიღების ხელმისაწვდომი საშუალებების შესახებ; დ) არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მისი საპროცესო სტატუსის, მის მიერ ჩვენების მიცემის მნიშვნელობის, ხანგრძლივობისა და ფორმის, აგრეთვე დაკითხვის ჩატარების წესის შესახებ; ე) არასრულწლოვანს აცნობოს სასამართლო მოსმენის დრო და ადგილი, აგრეთვე სხვა შესაბამისი მოქმედებების ჩატარების და დაცვის ხელმისაწვდომი ღონისძიებების შესახებ; ვ)არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიმართ გამოტანილი საპროცესო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ; ზ)არასრულწლოვნის დასახმარებლად განახორციელოს სხვა მოქმედებები.“[8]

კვლევამ ცხადყო, რომ პრაქტიკაში კანონიერ და საპროცესო წარმომადგენლებს უმეტეს შემთხვევაში არ აქვთ ინფორმაცია მათი უფლებებისა და პროცესუალური ფუნქციების შესახებ, უფრო მეტიც, მათი პროცესში ჩართულობა მხოლოდ ნომინალურია და რიგ შემთხვევებში არა თუ არასრულწლოვნის ინტერესების დაცვას ვერ ახერხებენ, თავადაც ხდებიან შეურაცხყოფისა და უხეში მოპყრობის ობიექტი სამართალდაცმავი ორგანოების ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან. მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ კანონიერ წარმომადგენლებს გამოკითხული ადვოკატების ნაწილიც საკმაოდ უფუნქციოდ მიიჩნევს, ერთ-ერთი ადვოკატის განმარტებით, - *„კანონიერი წარმომადგენელი არ აკეთებს არაფერს.“ სკეპტიკური დამოკიდებულება აქვთ პროცესში საკუთარი ჩართულობისა და ქმედითი მონაწილეობის შესახებ თავად კანონიერ წარმომადგენლებსაც. ინტერვიუს დროს ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა - „მე ვარ დედა და მე მაყენებდნენ შეურაცხყოფას. კაცი რომელიც, ასამართლებ ჩემს შვილს და იჭერ დანაშაულის ფაქტზე, იმ კაცმა როგორ შეიძლება მე დამიჭიროს, ან ჩემს შვილს რამე განმარტება მისცეს და რამე შენიშვნა მისცეს, როდესაც თავად არ აქვს განათლება, კულტურა და არ აქვს*

[8] არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 50.

შეგნება? მომიბრუნდა და მითხრა ,,შენ რა ქალი ხარ, შვილი ვერ გაგიზრდია... ვიდექი იქ უბრალოდ ნივთივით და ვყურებდი თვითონ როგორ აგვარებდნენ ამ საკითხებს... რომც მეყვირა და მეჩხუბა, უკვე გადაწყვეტილი საქმე იყო, ვისთვის რა უნდა გაეკეთებინათ. გადაწყვეტილება რომ ყოფილიყო უნდა ჩაესვათ ციხეში, ე.ი. უნდა ჩასვან. რაც არ უნდა გააკეთო, არავინ არაფერს გეკითხება. ამოიღებ ხმას და გადადიან პირდაპირ ლანძღვაზე". კითხვაზე თუ რა ფუნქციები აქვს კანონიერ წარმომადგენელს, კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ (კანონიერმა წარმომადგენელმა) აღნიშნა: „უფუნქციო არსება, რომელსაც შეგიძლია ფეხები შეაწმინდო იმიტომ, რომ გაზარდა ასეთი შვილი. მე მეტი არანაირი ფუნქცია იქ არ მქონია დაკისრებული."

კვლევის მონაწილე სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა განმარტა, რომ არც საქმეში მისი ჩართვის დროს და არც მას შემდეგ არ იყო ინფორმირებული პროცესში მისი ფუნქციებისა და დანიშნულების შესახებ : *„ვიჯექი და ვუყურებდი როგორც კანონიერი წარმომადგენელი ... დამკვირვებელი ვიყავი უფრო"*.

გარკვეული პრეტენზიები აქვთ მოსამართლეებს საპროცესო წარმომადგენლების მიმართაც, ერთ-ერთმა მოსამართლემ აღნიშნა, რომ მისთვის უცნობია რამდენად მომზადებულები არიან ის კადრები, რომლებსაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ასახელებს საპროცესო წარმომადგენლად *„მათი დატრენინგებაც საჭიროა ამ თვალსაზრისით, მე კი ვუმარტავ იმ უფლებებს რაც არის გადმოცემული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, მაგრამ ერთხელ რომ მოისმენს განმარტებას, რამდენად აქვს გათავისებული მეორე თემაა".*

არასრულწოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, მისი მიღებისთანავე გაიწერა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესიონალების გადამზადებისა და შესაბამისი მოდულების შექმნის ვალდებულება.[9] ასევე, ამავე კოდექსის მე-3 თავი მთლიანად ეძღვნება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაციას. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის N668 დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი[10]. აღნიშნული რეგულაციები და სტანდარტები ეხება სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტს (გამომძიებელი, პროკურორი, პოლიციელი, ადვოკატი, **სოციალური მუშაკი**, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი (პრობაციის ეროვნული სააგენტოს და დანაშაულის პრევენციის ცენტრის, შესაბამის პენიტენციური დაწესებულების პერსონალი), <u>გარდა საპროცესო წარმომადგენლებისა,</u> რაც სერიოზულ ხარვეზს წარმოადგენს.

[9] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.101.

[10] საქართველოს მთავრობის დადგენილება N668 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი, მ.1.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად[11], განისაზღვრა ის ორგანო, ვისაც დაეკისრა, საჭიროების შემთხვევაში საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის ვალდებულება - შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაზე არსებული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები. მართალია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში აღნიშნულია, მათ შორის სოციალური მუშაკების გადამზადების ვალდებულება[12], თუმცა ამავე დოკუმენტის 101-ე მუხლში, სადაც არის მითითებული კოდექსის ამოქმედებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ვალდებულებები, მეურევობისა და მზრუნველობის ორგანოების სოციალური მუშაკების გადამზადებასთან დაკავშირებით ასახული არ არის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, საპროცესო წარმომადგენლად მითითებულია - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ წარმოდგენილი კანდიდატი[13] ან სხვა სანდო პირი, თუმცა არ არის დაკონკრეტებული, ეს პირი სოციალური მუშაკი უნდა იყოს თუ არა.

აქვე, კიდევ ერთხელ უნდა აღნიშნოს, რომ გაეროს სტანდატები ხაზგასმით აღნიშნავს, რომ - *„პროფესიული განათლება, მუშაობის პროცესში სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება და ინსტრუქტაჟის სხვა სათანადო მოდელები გამოიყენება არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მთელი პერსონალის სათანადო პროფესიული კომპეტენტურობის უზრუნველყოფისა და შენარჩუნებისათვის[14] ... არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პერსონალი უნდა აირჩეს იმ არასრულწლოვანთა მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რომლებიც* ***უშუალო კონტაქტში არიან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემასთან“****[15]. სპეციალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს შემდეგ თავებში უფრო დეტალურად შევეხებით.*

გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა მზრუნველობის ორგანოების სოციალური მუშაკების ფუნქცია არის საკმაოდ მრავალმხრივი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან მათი კავშირის გარდა, მათი ფუნქციებია- „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამ(ებ)ის რეალიზაცია, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში; კომპეტენციის ფარგლებში, *სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამ(ებ)ის უფლებრივი საკითხების*

[11] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.50.

[12] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.21.

[13] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.50.

[14] პეკინური წესები, წესი 22.1.

[15] იქვე, წესი 22.2.

კუთხით სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების საქმიანობის კოორდინაცია; მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანოს ფუნქციების განხორციელება; კომპეტენციის ფარგლებში ბავშვზე და/ან ოჯახებში მომხდარი ძალადობის და მიუსაფარ ბავშვთა შემთხვევების რეაგირებაზე კოორდინაცია“[16]. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის 1 იანვრიდან, სოციალურ მუშაკებს დაემატათ დამატებითი ფუნქციები, მათი რაოდენობის ზრდა არ მომხდარა, რაც მათ საქმიანობის ხარისხზე ერთმნიშვნელოვნად აისახება. მუნიციპალიტეტების ძალიან დიდ ნაწილში, ამჟამად, შტატით არის განსაზღვრული მხოლოდ ერთი სოციალური მუშაკი (მაგალითად - ხარაგაული, ტყიბული, ბაღდათი, ვანი, საჩხერე, წყალტუბო, ლენტეხი, ცაგერი, ხობი, საგარეჯო და ა.შ), რაც არსებული საჭიროებების გათვალისწინებით ვერ ჩაითვლება საკმარის რაოდენობად. იხილეთ დეტალურად სოციალური მუშაკების რაოდენობა რეგიონების მიხედვით:

სოციალური მუშაკების რაოდენობა რეგიონების მიხედვით											**სულ**
თბილისი	**იმერეთი**	**რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი**	**გურია**	**სამეგრელო ზემო-სვანეთი**	**კახეთი**	**სამცხე-ჯავახეთი**	**მცხეთა-მთიანეთი**	**შიდა ქართლი**	**ქვემო ქართლი**	**აჭარა**	
70	**29**	**5**	**5**	**20**	**25**	**8**	**11**	**11**	**27**	**18**	**232**

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს

- **განხორციელდეს ცვლილება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში და განისაზღვროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკების (საპროცესო წარმომადგენლების) სპეციალიზაციის ვალდებულება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში.**

შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- **შემუშავდეს სპეციალური ტრენინგ-მოდულები და განხორციელდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების იმ სოციალური მუშაკების გადამზადება, რომლებსაც წინასწარ ექნებათ განსაზღვრული, საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართვის ვალდებულება;**

[16] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N109/ნ, სოციალური მომსახურეობის სააგენტოს დებულების თაობაზე, მ.25.

- **დაიწყოს მსჯელობა სოციალური მომსახურების სააგენტო-ში სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.**

1.2 დაცვის უფლება

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარების უფლება ასახულია საერთაშორისო დოკუმენტებში. აღნიშნულ დოკუმენტებში, მოცემულია ბავშვის უფლებები, მიიღოს იურიდიული დახმარება, როდესაც მას ეჭვმიტანილის სახით კითხავენ, ასევე, როდესაც ბავშვს ბრალდებას წაუყენებენ და იგი სასამართლოს წინაშე წარდგება. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 37-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება, დაუყოვნებლივ მიიღოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება. ამასთანავე, კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის (II) ნაწილის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეული ბავშვი სარგებლობდეს “სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარების მიღებით თავისი დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის“.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად არასრულწლოვნად ითვლება 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი[17]. კოდექსი ასევე განსაზღვრავს ახალ ასაკობრივ ჯგუფს 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებს და მათთან დაკავშირებულ სპეციალურ მიდგომას[18], რაც ზოგიერთ ნაწილში გათანაბრებულია არასრულწლოვანი ბრალდებულების მიმართ არსებულ მიდგომასთან.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს არასრულწლოვანი ბრალდებულის **უფლებას** ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარებით. ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ არასრულწოვან ბრალდებულს **სავალდებულოა** ჰყავდეს ადვოკატი[19]. გარდა ამისა, აღნიშნული კოდექსი გარკვეულ პირობებს გვთავაზობს 18-დან 21 წლამდე ბრალდებულის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. კერძოდ, კოდექსის მე-15 მუხლის მოქმედება (უფასო იურიდიული დახმარების უფლება) ვრცელდება 18-დან 21 წლამდე პირებზე, რომლებიც სარგებლობენ ბრალდებულის სტატუსით.

დაცვის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ, ჩამოყალიბდა არაერთგვაროვანი პრაქტიკა. კერძოდ, კოდექსში არსებულმა ჩანაწერმა, რომ დაცვით სარგებლობა არის **უფლება** (ეს ნორმა გამოიყენება 14-დან 21 წლამდე ასაკის პირებისთვის) და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

[17] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.3 (1).

[18] იქვე, მ.2 (1).

[19] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ.45 (ა).

ჩანაწერმა, რომ ბრალდებულ არასრულწლოვანს **სავალდებულოა** ჰყავდეს ადვოკატი (ეს ნორმა გამოიყენება მხოლოდ 14-დან 18 წლამდე ასაკის პირებისთვის), ჩამოაყალიბა არაერთგვაროვანი პრაქტიკა. კერძოდ, 18-დან 21 წლის პირებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ამ უფლებით, თუკი ამის თაობაზე მიმართავენ შესაბამის უწყებას. მათ სავალდებულო წესით ადვოკატი არ ენიშნებათ. როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებმა განაცხადეს, მათთვის მისაღებია 21 წლამდე პირების სავალდებულო დაცვის უფლება, რადგან 18 წლის მიღწევა ავტომატურად არ გულისხმობს, რომ ადამიანი მეორე დღიდანვე ხდება ჩამოყალიბებული პიროვნება. კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა პროკურორებმა განაცხადეს, რომ თავდაპირველად იყო ტენდენცია, რომ 18-დან 21 წლამდე ახალგაზრდები უზრუნველყოფილნი ყოფილიყვნენ სავალდებულო დაცვის უფლებით, თუმცა მოგვიანებით იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსების მხრიდან, მოხდა კოდექსის შესაბამისი ნორმის სხვაგვარად განმარტება და ამჟამად 18-დან 21 წლამდე ახალგაზრდების უფასო იურიდიული დამხარებით უზრუნველყოფა ხორციელდება მხოლოდ მათი სურვილის შემთხვევაში. კვლევაში მონაწილე მოსამართლეების ნაწილი აცხადებს: *„არ ვართ ჯერ ჩამოყალიბებული, 18–დან 21 წლამდე პირებთან მიმართებაში განსაკუთრებით“*. აქედან გამომდინარე, იკვეთება არაერთგვაროვანი პრაქტიკა და სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე სუბიექტების მხრიდან შესაბამისი ნორმების არაერთგვაროვანი გაგება.

პეკინური წესები განმარტავს, რომ[20] - *„არასრულწლოვანი არის ბავშვი ან ახალგაზრდა ადამიანი, რომლის მიმართ არსებულ სამართლებრივ სისტემაში შეიძლება გამოიყენებოდეს სრულწლოვნისაგან განსხვავებული წესები დანაშაულის ჩადენის დროს“. ამავე წესის, კომენტარში აღნიშნულია, რომ „არასრულწლოვნის ცნება მოიცავს ფართო ასაკობრივ სპექტრს 7-დან 18 წლამდე **ან ზემოთ**. ასეთი მრავალფეროვნება განსხვავებული სამართლებრივი სისტემის ნაწილია და არ ამცირებს სტანდარტული მინიმალური წესების გავლენას“. გარდა ამისა, აქვე აღნიშნულია, რომ - „ძალისხმევა ასევე მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ წესებში ჩამოყალიბებული პრინციპები გამოიყენებოდეს ახალგაზრდა სრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ“.*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო სტანდარტები იძლევა იმისშესაძლებლობას, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული ნორმები გავრცელდეს 18 წლამდე ასაკის და მის ზემოთ მყოფ პირებზეც. ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ გამორიცხავს, რომ 18-დან 21 წლამდე პირებმა მიიღონ უფასო იურიდიული დახმარება, თუკი ამის თაობაზე, თხოვნით, პირადად მიმართავენ საქმის მწარმოებელ ორგანოს. თუმცა, ორი ტიპის ჩანაწერმა სხვადასხვა სახის დოკუმენტებში (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების

[20] პეკინური წესები, წესი 2.2.

კოდექსი და სსს კოდექსი), რომ რიგ შემთხვევაში ეს არის უფლება (18-21 ასაკის) და რიგ შემთხვევაში ვალდებულება (14-18 ასაკის), გამოიწვია არაერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ერთგვაროვანი მიდგომა და კანონმდებლობის დონეზე განისაზღვროს 21 წლამდე პირთა სავალდებულო დაცვის უფლება. თუმცა, ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სახის ცვლილებები განხორციელდეს იურიდიული დახმარების სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერების, ადამიანური და მატერიალური რესურსების ზრდის პარალელურად. ამჟამად, იურიდიული დახმრების სამსახურში ირიცხება 80 არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზირებული ადვოკატი, რომლებსაც არასრუწლოვანთა საქმეებთან ერთად უხდებათ სრუწლოვანთათვის იურიდიული დახმარების გაწევაც. ადვოკატები განაწილებულნი არიან რეგიონების მიხედვით. იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ერთი თვის განმავლობაში, ერთ ადვოკატს საშუალოდ წარმოებაში აქვს **12-14 საქმე**, რომელთა შორისაც შესაძლოა იყოს არასრულწლოვნის საქმეებიც. აქედან გამომდინარე, მათთვის დამატებით 18-დან 21 წლამდე პირთა სავალდებულო დაცვით უზრუნველყოფის ვალდებულების დაკისრება გამოიწვევს ადვოკატების კიდევ უფრო მეტად გადატვირთვას, რაც მომავალში მათი საქმიანობის ხარისხზეც აისახება. დეტალური ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების შესახებ იხილეთ ცხრილში:

იურიდიული დახმარების სამსახურის არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზირებული ადვოკატები რეგიონების მიხედვით

	თბილისი	ქვემო ქართლი	მცხეთა-თიანეთი	კახეთი	შიდა ქართლი	იმერეთი	აჭარა	სამცხე-ჯავახეთი	სამეგრელო	სულ
ადვოკატები	29	9	3	6	4	14	4	3	8	80

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს:

- **განხორციელდეს ცვლილებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში და 18-21 წლის ასაკის ბრალდებულების უფასო იურიდიული დახმარება განისაზღვროს როგორც სახელმწიფოს ვალდებულება.**

საქართველოს მთავრობას:

- **განხორციელდეს იურიდიული დახმარების სამსახურის ადამიანური და მატერიალური რესურსების გაზრდა.**

1.3 დაკავება/არასრულწლოვანი მოწმის დაცვის უფლება

როგორც უკვე აღინიშნა, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის იურიდიული დახმარების უფლება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. აღნიშნული უფლება გარანტირებულია არაერთი საერთაშორისო დოკუმენტით. *„ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფასო იურიდიული დახმარება უფრო მოქნილ პირობებზე, ვიდრე მოზრდილების შემთხვევაში.“*[21] *„დაცვის მომზადების პროცესში, ბავშვს უფლება აქვს გამოიყენოს იურიდიული ან სხვა შესაბამისი დახმარება, რაც მკაცრადაა განსაზღვრული კონვენციით. თუმცა, ეს არ გულისხმობს მხოლოდ აუცილებელ იურიდიულ დახმარებას. ბავშვისათვის გაწეული ნებისმიერი სახის დახმარება, ყოველთვის უნდა იყოს ადეკვატური“.*[22] *არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, „სისხლის სამართლის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული და დაზარალებული სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარების უფლებით. სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვან მოწმეს ამ უფლებით შეუძლია ისარგებლოს, თუ იგი გადახდისუუნაროა.“*[23]

საკანონმდებლო დონეზე არსებული ფორმულირებით, პრაქტიკაში იქმნება სიტუაცია, როდესაც არასრულწლოვანი მოწმე პოლიციასთან პირველადი კონტაქტის დროს ვერ იყენებს სავალდებულო დაცვის უფლებას, თუ არ არსებობს მისი გადახდისუუნარობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენ-ტი. – *„სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვან მოწმეს ამ უფლებით შეუძლია ისარგებლოს, თუ იგი გადახდისუუნაროა“*[24]. შესაძლოა არასრულწლოვანი მოწმის ან მისი ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა არ იყოს სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭების საფუძველი, თუმცა, ამავდროულად, ოჯახის მატერიალური რესურსი არ იყოს საკმარისი შეთანხმებით დამცველის (ადვოკატის) აყვანისთვის. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა პრაქტიკა, როდესაც არასრულწლოვნებს ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებზე თავდაპირველად იბარებენ როგორც მოწმეს, ესაუბრებიან მათ, სთხოვენ აღიარებას ან გამოძიებისთვის სასურველი ჩვენების მიცემას, შემდეგ კი სცნობენ მათ ბრალდებულად და სწორედ ამის შემდეგ უზრუნველყოფენ სავალდებულო დაცვის უფლებით. მოწმედ ყოფნის პერიოდში არასრულწლოვანი არ არის უზრუნველყოფილი დაცვის უფლებით, ვერ აცნობიერებს მის შესაძლებლობას გამოიყენოს დუმილის უფლება, არ მისცეს თავისი ან მისი ახლობლის მამხილებელი ჩვენება, მისცეს ჩვენება მხოლოდ სასამართლოში და ა.შ. სწორედ ამიტომ, არასრულწლოვანი მოწმისთვის დაცვის უფლების სავალდებულოდ

[21] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე.

[22] ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 40.

[23] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, მუხლი 15.

[24] იქვე, მ.15.

უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

მოწმის დაცვის საკითხზე დამატებით განმარტების მიზანშეწონილობას პროკურორების ნაწილიც აღიარებს. მათი განმარტებით, არის შემთხვევები, როდესაც იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები უარს ამბობენ მოწმის სავალდებულო დაცვაზე, რადგან მისი ოჯახი არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ბაზაში და არ აქვს მინიჭებული შესაბამისი ქულები. რეალურად კი ოჯახის წევრებს არ აქვთ კერძო ადვოკატის აყვანისთვის საჭირო თანხები და არასრულწლოვანი მოწმე ფაქტობრივად რჩება დაცვის უფლების გარეშე. ერთ-ერთი ადვოკატის განმარტებით: *„იქმნება სიტუაცია როდესაც არასრულწლოვანი, რომელიც როგორც მოწმე იძლევა საკუთარი თავის მამხილებელ ჩვენებას, შესაძლოა ადვოკატის გარეშე დარჩეს“*. კვლევაში მონაწილე მოსამართლის განმარტებით, დავა არის ხოლმე იმ საკითხზე, რომ არასრულწლოვნებს ჯერ მოწმის სტატუსით იბარებენ და შემდეგ ხდება მათთვის ბრალის წარდგენა - *„ამაზეა დავა, თუ პოტენციური ბრალდებულია, თავიდანვე ბრალდებულის ყველა უფლებით უნდა მოხდეს მისი უზრუნველყოფა, როდესაც ის ჩვენებას აძლევს მოწმის სახით, კანონი იმ დონეზე არ იცავს როგორც ბრალდებულს, ეს საკითხია ხშირად სადავო“* - *აცხადებს ერთ-ერთი ადვოკატი.*

აღნიშნული პრობლემა გამოიკვეთა სხვა კვლევაშიც, რომელიც ზოგადად ეხება ეჭვმიტანილის საპროცესო უფლებებს სისხლის სამართლის პროცესში და რა თქმა უნდა მოიცავს არასრულწლოვნებსაც. მითითებულ კვლევაში ვკითხულობთ - *„მკვლევარების დაკვირვებით, უმეტეს შემთხვევებში პოლიცია დაკავებულებს მოწმის სტატუსით კითხავდა მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ბრალის წასაყენებლად საკმარისი მტკიცებულება. უფრო მეტიც, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც პირი აღიარებდა დანაშაულს და მტკიცებულება ამყარებდა მის განცხადებებს, პოლიცია კვლავ მოწმის სტატუსით კითხავდა მას. ამგვარად, გამომძიებლები ცდილობენ, დაკავებულს შეუქმნან სამართლებრივი ვალდებულების მოლოდინი და რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღონ მისგან, თუნდაც ეს ინფორმაცია პოტენციურად პირდაპირ ან ირიბად დანაშაულის დაბრალებას გულისხმობდეს. გარდა ამისა, გამომძიებლები პირისთვის საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას განსაკუთრებით უსვავენ ხაზს მოწმის სამართლებრივ ვალდებულებას სრულწყოფილი და სწორი ინფორმაციის მიწოდების შესახებ და არა იმას, რომ მოწმეს უფლება აქვს, არ მიაწოდოს საკუთარი თავის მამხილებელი ინფორმაცია“.*[25]

ჩატარებული კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ ხშირად პოლიციის წარმომადგენლების მხრიდან ადგილი აქვს ბავშვთან ე.წ. „გასაუბრებას“, როდესაც ხდება არასრუწლოვნის მანქანაში ჩასმა ან მისი პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანა, ისე რომ არ ფორმდება დაკავების ოქმი. სწორედ ეს არაფორმალური

[25] „ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში“, ბესარიონ ბოხაშვილი, გიორგი მშვენიერაძე, ირაკლი ყანდაშვილი, გვ.59

გასაუბრების ეტაპი წარმოადგენს მომეტებული რისკის პერიოდს არასრულწლოვან ბრალდებულზე ზეწოლის განხორციელების კუთხით. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი ადვოკატის განმარტებით: *„დილის ხუთ საათზე დააკავეს ნასამართლევი ბავშვი, ფაქტობრივი დაკავებაა პოლიციის მანქანაში რომ ჩასვამ სახლის წინ და წაიყვან განყოფილებაში ... არის შემთხვევები, როდესაც პირი ფაქტობრივად დაკავებული ყავთ, თუმცა დაკავების ოქმის ოფიციალურად გაფორმება არ ხდება.“* სხვა გამოკითხული ადვოკატები აგრეთვე აცხადებენ, რომ ზოგჯერ ადამიანებს ქუჩაში აკავებენ და გადაყავთ პოლიციის დაწესებულებაში. პოლიციის დაწესებულებაში მისვლამდე, ე.წ. „გასაუბრებას“ უტარებენ დაკავებულს. ადვოკატები ირწმუნებიან, რომ როდესაც პოლიციის თანამშრომელი გადაწყვეტს პირის დაკავებას, ისინი უთითებენ დაკავების დროდ არა ფაქტობრივი დაკავების, არამედ პოლიციელის მიერ დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დროს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ნათლად განმარტა საქმეში <u>გიორგი ჩხეიძე პარლამენტის წინააღმდეგ,</u> რომ *„დაკავების დროის ათვლა უნდა მოხდეს პირის თავისუფლების ფაქტიური შეზღუდვის მომენტიდან, ადვოკატების მტკიცებით, ხშირია შემთხვევა, როდესაც პოლიციის თანამშრომელი დაკავების დროდ მიიჩნევს იმ მომენტს, როდესაც მიიღებს დაკავების შესახებ გადაწყვეტილებას და არა პირის რეალურად დაკავების მომენტს.“*

არაოფიციალური „გასაუბრების“ ეტაპზე, პოლიცია ხშირად არასრულწლოვანს დანაშაულის აღიარების სანაცვლოდ პირდება <u>საპროცესო შეთანხმების ან განრიდების გაფორმებას.</u> ადვოკატების განმარტებით: *„პოლიციაში მიყვანა სხვა დროს ხდება და სხვა დროს აფიქსირებენ, როდესაც მოსთხოვ სათვალთვალო კამერის ჩანაწერს არ გაძლევენ და მიზეზად გეუბნებიან რომ გამორთული იყო ან წაიშალა და ა.შ. რაც არღვევს ბავშვის უფლებებს.“ „გამოძიების დროს, პირველ ეტაპზე აყენებს ბრალდების მხარე დანაშაულის გახსნის აუცილებლობას და მეორე ეტაპზე ინაცვლებს არაფორმალურად ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი.“ „დაკავებად არ თვლიან, განყოფილებაში რომ ეყოლებათ ღამიდან მეორე დღემდე სანამ ადვოკატი მივა, ისინი იძახიან, რომ არ იყო დაკავება.“* „რა თქმა უნდა, ჯერ იქიდან დავიწყოთ რომ მიყვანის უფლებაც არ აქვთ, არასრულწლოვანს რომ პოლიციის მანქანაში ჩასვამ და წაიყვან, ნებით გამომყვაო - ამის დაჯერება არალოგიკურია. ძალით მიყვანა იძულებაა და თავისუფლების უკანონო აღკვეთა.“ *„უკვე ყველაფერს ,,დაამუშავებენ“ ხოლმე კარგად და მერე გვრთავენ ჩვენ“. „დაკავებას ხომ ერთი განმარტება აქვს, რომ ეს არის მიმოსვლის შეზღუდვის მომენტი. არსად წერია, რომ ოქმის შედგენის მომენტიდან აითვლება.“*

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, იძულებად ითვლება არა მხოლოდ ფიზიკური და აშკარა ფსიქოლოგიური ზეწოლა, არამედ აღიარების ან გათავისუფლების სანაცვლოდ სასურველი ჩვენების მიღების იძულებაც. არსებობს უამრავი ნაკლებად ძალადობრივი

საშუალება ბავშვისგან აღიარების მისაღებად. ტერმინს „იძულება“ აქვს ფართო მნიშვნელობა და ის არ უნდა იქნას განმარტებული, მხოლოდ როგორც ფიზიკური ზეწოლა ან ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა. ბავშვის ასაკი, მისი განვითარების დონე, დაკითხვის ხანგრძლივობა, აღქმის უნარი, გაურკვეული შედეგების შიში ან დაპატიმრების შესაძლო საფრთხე, ხშირად აიძულებს მას აღიაროს ის რაც არ ჩაუდენია.[26]

ხშირად კანონიერი წარმომადგენლის პოლიციის განყოფილებაში მისვლის დროს, არასრულწლოვანს უკვე აღიარებული აქვს დანაშაული. ერთ-ერთი კანონიერი წარმომადგენლის განმარტებით, მისი მისვლისას არასრულწლოვანი უკვე *„გამოკითხული იყო, იმიტომ, რომ უკვე აწერინებდნენ ხელს, უკვე დაწერილი ჰქონდა ჩვენება რომ მივედი. თვითონ ავსებდნენ, მე რომ მივედი ბოლო შტრიხი იყო და ბავშვმა რომ მოითხოვა წაეკითხა რაზე აწერინებდნენ ხელს, არ წააკითხეს. რაზე ვაწერ ხელს ხომ უნდა ვიცოდეო და მაშინვე მუქარა წამოვიდა... უბრალოდ იმ მიზნით, რომ ადამიანი გეკითხება თავის უფლებებს, მაგ დროს მიდის შეურაცხყოფა, ხელის დარტყმა და გინება... ან იქნება ასე როგორც წერია და მოაწერ ხელს, ან არა და ისეთ რამეს გაგიკეთებთ, მერე ნახავ სად მოხვდებიო“. მეორე კანონიერი წარმომადგენელი ასევე ადასტურებს, რომ მისი შესაბამის უწყებაში გამოცხადების დროს არასრუწლოვანს დანაშაული უკვე აღიარებული ჰქონდა: „მე რომ მივედი უკვე აღიარება უნდა დაეწერათ... რომ მივედი ერთ–ერთ გამომძიებელთან იყო, რომელიც ავსებდა განცხადებებს და რომელიც აწერინებდა აღიარებას“.*

კვლევამ წარმოაჩინა, რომ არაფორმალური გამოკითხვის ეტაპზე, ცალკეულ შემთხვევებში პოლიციელების მხრიდან ადგილი აქვს როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას, ერთ-ერთი კანონიერი წარმომადგენელი აცხადებს: *„ამაზე მეტი მაგალითი რაღაა, ბავშვმა რომ მითხრა მცემეს განყოფილებაშიო და რომ ვუთხარი სასამართლოზე ასე მითხრა ბავშვმათქო, იყო ის პოლიციელი მოსული, აბა მიდი დამიმტკიცე რომ გცემეო.“* დაკავების დროის არასწორად დაფიქსირებაზე საუბრობენ ადვოკატებიც: *„კანონიერ წარმომადგენელს ჩააბარეს უწყება დილის ათ საათზე, თითქოს მაშინ დაიბარეს ბავშვი. რეალურად ხუთი საათის დაკავებული იყო. რა თქმა უნდა ჩანაწერები არ მოგვცეს.“* მსგავსი შემთხვევების შესახებ განცხადებების არსებობის ფაქტი დაადასტურა გამოკითხულ მოსამართლეთა ნაწილმაც: *„ეს შემთხვევა უთქვამთ პროცესზე, რა თქმა უნდა არ არის კანონიერი ქმედება“.*

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ არასრულწლოვანი მოწმის დაცვის უფლება გარანტირებული იყოს და არ იყოს დამოკიდებული მის ფინანსურ მდგომარეობზე, რომლის ობიექტური შეფასებაც არსებული სისტემის ფარგლებში საკმაოდ რთულია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ არასრუწლოვანთა

[26] საერთაშორისო სტანდარტები არასრუწლოვანთა მართლმსაჯუების სფეროში, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011 წ, გვ75.

მართლმსაჯულების პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა მართლმსაჯულების ინტერესზე უპირატესად განხორციელდეს და დანაშაულის გახსნის, აღიარების მოპოვების საბაბით არ მოხდეს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების უგულვებელყოფა. მოწმის სავალდებულო დაცვის უფლება მნიშვნელოვნად შეამცირებს იმ რისკებს, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. თუმცა აღნიშნული ნაბიჯი, ამ შემთხვევაშიც უნდა გადაიდგას იურიდიული დახმარების სამსახურის შესაძლებლობების ზრდის პარალელურად.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს

- **განხორციელდეს ცვლილებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში და განისაზღვროს 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი მოწმის დაცვის ვალდებულება საკანონმდებლო დონეზე;**
- **განხორციელდეს ცვლილებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს აეკრძალოთ კომუნიკაცია 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვან მოწმესთან კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლისა და დამცველის დასწრების გარეშე, გარდა უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული საფუძვლებისა, რაც წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული საკანონმდებლო დონეზე;**

საქართველოს მთავრობას

- **დაიწყოს მსჯელობა იურიდიული დახმარების სამსახურში ადვოკატების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობასთან დაკავშირებით;**
- **სისტემატურად განხორციელდეს მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ პირთა საქმიანობის ხარისხის კონტროლი.**

1.4 ფსიქოლოგის მონაწილეობა

პეკინური წესები მოუწოდებს სახელმწიფოებს ნორმატიულ დონეზე მოახდინონ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების კვალიფიცირება - რათა მათ გაიარონ ბავშვებთან მუშაობის სპეციალური და რეგულარული ტრეინინგები და მხოლოდ მათ აწარმოონ ბავშვთა გამოკითხვა/დაკითხვა. [27]

ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი განმარტავს, რომ ზოგჯერ ბავშვმა გამომკითხველის სპეციფიკური ენა არ იცის და ვერ ლაპარაკობს, ვერ აღიქვამს, რადგან ბავშვების მეტყველება ზოგჯერ განსხვავდება. ცოდნის, გონებრივი განვითარებისა თუ გამოცდილების ნაკლებობამ შესაძლებელია გამოიწვიოს კითხვის

[27] პეკინური წესები, წესი 12.

არასრულყოფილად გაგება და ასევე არასწორი პასუხის მიღება. საამისოდ არსებობს სპეციალისტის საჭიროება - იქნება ეს თარჯიმანი თუ ფსიქოლოგი. [28]

თავის მხრივ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიც საუბრობს გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის საჭიროებაზე და უშვებს ფსიქოლოგის მოწვევის შესაძლებლობას[29]. თუმცა <u>კონკრეტულად ვის მიერ უნდა მოხდეს ფსიქოლოგის მოწვევა კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.</u>

პრაქტიკაში მხარეები იყენებენ ფსიქოლოგის მომსახურებას გამოკითხვის/დაკითხვის დროს. კვლევის პროცესში, მაგალითად, ერთ-ერთმა პროკურორმა აღნიშნა: *„ერთ-ერთი საქმე იყო, არასრულწლოვანი ბავშვი სცემეს და აუცილებლად დავასწარით ფსიქოლოგი. ბავშვის აზრის მოსმენა ხდება და აღქმის შესაძლებლობების გაგება, რომლის მიხედვითაც ჩვენ თვითონ ვწყვეტთ, რომ დაესწროს ფსიქოლოგი“.*

ფსიქოლოგის მონაწილეობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს პროკურორებმაც. მათი განმარტებით ფსიქოლოგები ერთვებიან ისეთ საქმეებზე, როგორიც არის ოჯახური ძალადობის, ასევე სქესობრივი დანაშაულები.

ადვოკატები მიიჩნევენ, რომ გამოკითხვა/დაკითხვის დროს მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის დასწრება, რადგან ცალკეულ შემთხვევებში პოლიციის განყოფილების თანამშრომლების მხრიდან ხდება არასრულწლოვანზე ფსიქოლოგიური ზეწოლა. კვლევის მონაწილე ადვოკატების განმარტებით: „უფროსი ჩაივლის და მიაძახებს–,,*შენ ჩაიდინე ბიჭო?*», მოადგილე გამოივლის, მიაძახებს–,,*უი, შენ რა გელოდება*", მერე კიდევ სხვა ეუბნება–,,*შენ ხარ მაგალითი ოჯახის? და ა.შ. ეს დაკითხვა არ არის, ეს არის არაფორმალურად ბრალის დადება.“ „ყველა გავლა–გამოვლაზე დასცინიან, ფსიქოლოგიურ დარტყმას აყენებენ.“*

როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის ინტერვიუებიდან ცხადი გახდა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართული მხარეები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ფსიქოლოგის მონაწილეობას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის გამოკითხვა/დაკითხვის ეტაპზე, თუმცა მართლმსაჯულების პროცესში არსებული ზოგადი ნორმა ფსიქოლოგის ჩართულობის შესაძლებლობის შესახებ საჭიროებს უფრო მეტად დაკონკრეტებას. ნორმის არსებული რედაქცია საქმის მწარმოებელ ორგანოს უტოვებს ფართო დისკრეციას საკუთარი შეხედულებით გადაწყვიტოს ფსიქოლოგის ჩართვის საჭიროება და თავადვე შეარჩიოს მისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები ფსიქოლოგი. მნიშვნელოვანია ნორმატიულად გაიწეროს ფსიქოლოგის სავალდებულო ჩართულობის წინაპირობები, იმ შემთხვევებში კი, როდესაც ასეთი გარემოებები სახეზე არ იქნება, პროცესის

[28] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პ

[29] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.52 (3).

მწარმოებელ ორგანოს მიეცეს დისკრეცია, არსებული სიტუაციისა და ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, თავად გადაწყვიტოს ფსიქოლოგის ჩართვის საკითხი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იქნას მოწვეული ფსიქოლოგების მაღალი კომპეტენცია და მათ მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების ცოდნა. იმისათვის, რომ ფსიქოლოგის ჩართულობა პასუხობდეს მისი მონაწილეობის რეალურ მიზანს, მნიშვნელოვანია მათი პროცესუალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაც, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ეს იქცეს მხოლოდ ფორმალურ პროცედურად და პირიქით, ხელი შეუწყოს არასრულწლოვნის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტების კიდევ უფრო მეტ ლეგიტიმაციას.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს

- **შევიდეს ცვლილებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში და განისაზღვროს ის კრიტერიუმები, თუ რა შემთხვევებში უნდა მოხდეს ფსიქოლოგის ჩართვა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში.**

საქართველოს მთავრობას

- **ფსიქოლოგებმა, რომლებიც მონაწილეობენ გამოკითხვა/დაკითხვის პროცედურებში, გაიარონ გადამზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპების, ასევე მათი პროცესუალური როლის შესახებ.**

ნაწილი 2. სასამართლო განხილვის ეტაპი

2.1 წარსულში გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, როგორც სტიგმა

საერთშორისო სტანდარტების მიხედვით, ბავშვებს აქვთ პირადი ცხოვრების სრული პატივისცემის უფლება მართლმაჯულების სფეროში საქმის განხილვის ყველა სტადიაზე. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია[30] განმარტავს, რომ *„მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად, რომ მისდამი მოპყრობა ხელს უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობას“ ... „ამ მიზნით და საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით,*

[30] გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია, მ.40, პ2 (VII).

მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, უზრუნველყოფენ, რომ: ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან ბრალი ედება მის დარღვევაში, ჰქონდეს, სულ ცოტა, შემდეგი გარანტიები:" ... „მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემა საქმის განხილვის ყველა სტადიაზე". ბავშვის უფლებათა კომიტეტმა N10 ზოგად კომენტარში[31] დაადგინა, რომ „საქმის განხილვის ყველა სტადია" იწყება სამართალდამცავ ორგანოებთან პირველი კონტაქტიდან ზედამხედველობიდან ან პატიმრობიდან გათავისუფლებამდე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად ნასამართლობა გაქარწყლებულად ითვლება სასჯელის მოხდისთანავე.[32] ამავე კოდექსის თანახმად არასრულწლოვანს შეიძლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთა დაენიშნოს თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი.[33] ადვოკატების განცხადებით, მითითებული ნორმა - *„პრაქტიკაში არაერთგვაროვან გაგებას იწვევს, ეს არის ალბათ კანონმდებლის შეცდომა თავის დროზე, როდესაც წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი არის რამოდენიმე ადგილას ამ კოდექსში ნახსენები, თითქოს გარკვეულ წილად დამამძიმებელი გარემოებაა არასრულწლოვანთან მიმართებაში. მაგალითად, პირობითი მსჯავრის გამოყენება შესაძლებელია, ან მინიმუმზე ნაკლები სასჯელის დანიშვნა შეუძლია მოსამართლეს, თუ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი არ ყოფილა, ასეთი ჩანაწერი არის ამ კოდექსში."*

პირადი ცხოვრების პატივისცემის მიზანია იმ ზიანის თავიდან აცილება, რომელიც შეიძლება მიადგეს ბავშვს საქმის გაუმართლებელი საჯაროობით. უარყოფითმა საჯაროობამ შეიძლება მოახდინოს ბავშვის სტიგმატიზაცია, რაც უარყოფითად აისახება ბავშვის შესაძლებლობაზე, მიიღოს განათლება, მოიძიოს სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი. კონფიდენციალური პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება არასასურველ გავლენას ახდენს ზოგადად ბავშვის რეინტეგრაციაზე. პეკინურ წესებში აღნიშნულია, რომ - *„წესი 8 ხაზგასმით აღნიშნავს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების მნიშვნელობას. ახალგაზრდა ადამიანები განსაკუთრებით ექვემდებარებიან სტიგმატზაციას. რეპუტაციის შელახვის (labelling) შესახებ კრიმინოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ არასრულწლოვანის მუდმივ იდენტიფიკაციას "სამართალდამრღვევად" ან "დამნაშავედ" მოსდევს დამღუპველი შედეგები (სხვადასხვა ხასიათის)"*[34]. გარდა ამისა, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ასევე ხაზს უსვამს, რომ *„რეინტეგრაციის მიზნით, დაუშვებელია ბავშვის მიმართ ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელიც შეაფერხებს*

[31] გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პ.64.

[32] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისკოდექსი მ.12.

[33] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მ.73.

[12] პეკინური წესები, წესი 8, კომენტარი.

საზოგადოებრივ პროცესებში მის სრულ მონაწილეობას. დაუშვებელია სტიგმატიზება, სოციალური იზოლირება ან ფართო საზოგადოებისთვის ბავშვის ვინაობის გამხელა. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის რეინტეგრაციისათვის, აუცილებელია მისი მხარდაჭერა, რათა იგი, საკუთარი თემის სრულყოფილი და სასარგებლო წევრი გახდეს"[35].

აღნიშნული ხარვეზი ზრდის რისკს, რომ შესაძლოა ბავშვის შესახებ არსებულ მონაცემებზე ხელი მიუწვდებოდეთ იმ პირებს ან ორგანოებს, რომლებსაც არ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია. ამ მონაცემების არასწორი ფორმით გამოყენებამ ან გაუმართლებელმა გასაჯაროებამ შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის სტიგმატიზაცია, რაც პირდაპირი შემაფერხებელი ფაქტორია საზოგადოებაში ეფექტურად ინტეგრაციისათვის. გარდა ამისა, ზოგადად სტიგმატიზაციამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბავშვის ფსიქიკაზე და ძირეულად შეცვალოს მისი დამოკიდებულება სამართალდამცავი ორგანოების, ზოგადად სახელმწიფოსა და საზოგადოების მიმართ. ეს ფაქტორები ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად იმოქმედებს ბავშვის საზოგადოების სრულყოფილ წევრად ჩამოყალიბებაზე. სწორედ სტიგმატიზაციის თავიდან არიდების კუთხით არის უმნიშვნელოვანესი ნასამართლობის სტატუსის დანაშაულის მოხდისთანავე გაქარწყლება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვს, მსჯავრდებულს მიანიჭა უფლება სასამართლოს მიერ დაწესებული სასჯელის მოხდისთანავე ნასამართლობა ავტომატურად მოეხსნას. თუმცა ამავე კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებით გაკეთებული დათქმა ამბობს, რომ არასრულწლოვანს შეიძლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთა (შედარებით მძიმე სასჯელი) დაენიშნოს თუ მის მიმართ წარსულში **გამამტყუნებელი განაჩენი** იქნა გამოტანილი. ამგვარი ფორმულირება ქმნის შესაძლებლობას, რომ მოსამართლემ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა დაუნიშნოს პირს წასრულში არსებული გამამტყუნებელი განაჩენის გამო, მიუხედავად იმისა რომ არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებული ჰქონდა.

საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოზარდის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაული არ წარმოადგენდეს, არც დაბრკოლებას საზოგადოებაში ეფექტური ინტეგრაციის პროცესში და ამავდროულად ეს ფაქტი მომავალში არ იყოს განხილული, როგორც დამამძიმებელი გარემოება. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე ამყარებს რიადის სახელმძღვანელო პრინციპები, სადაც ხაზგასმულია, რომ - *„ ... ახალგაზრდული ქმედებები და საქციელი, რომლებიც არ შეესაბამება ყველა სოციალურ ნორმას და ღირებულებას, ხშირად წარმოადგენს განვითარებისა და ზრდის* ნაწილს და სპონტანურად უჩინარდება უმეტეს პირებში ზრდასრული *ასაკის მიღწევისას".*

[35] გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პ.29

აქედან გამომდინარე, მოცემული ჩანაწერის არსებობა აზრს უკარგავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლში არსებულ ჩანაწერს, რომლის მიზანია საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სტიგმატიზაციისაგან დაცვა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რომ ცვლილებები განხორციელდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, რომ წასრულში არსებული გამამტყუნებელი განაჩენის არსებობა არ წარმოადგენდეს ზოგადად დამამძიმებელ გარემოებას.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს

- **შევიდეს ცვლილებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში და წარსულში გამამტყუნებელი განაჩენის, როგორც დამამძიმებელი გარემოების არსებობა, ამოღებულ იქნას კანონმდებლობიდან.**

2.2 ინდივიდუალური შეფასების ანგარიში სასჯელის დანიშვნისას

საერთაშორისო სტანდარტები აღიარებს არასრუწლოვნის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობას, მათ შორის, სასჯელის შეფარდების ეტაპზე. *„ყველა შემთხვევაში, უმნიშვნელო დანაშაულების გამოკლებით, კომპეტენტური ორგანოს მიერ განაჩენის გამოტანის წინმსწრები საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, გულდასმით უნდა იქნას შესწავლილი არასრულწლოვნის ცხოვრების პირობები, რომელშიც ჩაიდინა სამართალდარღვევა, რათა ხელი შეეწყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გონივრული გადაწყვეტილების მიღებას.“*[36]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, ინდივიდუალური შეფასების დროს, შესაბამისი ორგანო შეისწავლის არასრულწლოვნის განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, განათლებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ ვითარებას და სხვა გარემოებებს, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. კოდექსის თანახმად, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში დგება განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას, სასჯელის დანიშვნისას, საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას. გარდა ამისა, *„პროკურორის დადგენილებით ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შესაძლებელია მომზადდეს სხვა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სტადიაზეც, თუ სისხლის სამართლის*

[36] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრუწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, „პეკინური წესები“, ნაწილი ორი, მუხლი 17.

საქმის მიმდინარეობა და ვადები ამის შესაძლებლობას იძლევა.“[37]

სასჯელის დანიშვნის ეტაპზე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირები და ანგარიშის შედგენის პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის ერთობლივი ბრძანებით #132/#95/#23. *„სასჯელის დანიშვნისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრუწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა მიზნად ისახავს არასრუწლოვნის სოციალური გარემოს, მისი უნარებისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლას, რაც ხელს უწყობს მოსამართლეს არასრუწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული ობიექტური სასჯელის შეფარდებაში.“*[38] ბრძანებაში მითითებულია, რომ ანგარიშის მოთხოვნის უფლება აქვს მოსამართლესა და პროკურორს. ამავე ბრძანების თანახმად, სასჯელის შეფარდების ეტაპზე, საქმის არსებითი განხილვის დროს, მოსამართლეს ანგარიში ეგზავნება ორ ნაწილად. პირველი ნაწილი ივსება ბრალის საკითხის გადაწყვეტამდე და არ მოიცავს კითხვარის ორ მუხლს (მე-3 მუხლს, მე- 9 მუხლის მე-5 პუნქტს), სადაც საუბარია არასრუწლოვნის დამოკიდებულებაზე ჩადენილი ქმედების მიმართ, ასევე პენიტენციურ დაწესებულებაში მიზანშეწონილ სერვისებთან დაკავშირებით. აღნიშნული პუნქტები ივსება მხოლოდ სასამართლოს მიერ ბრალის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ. პრაქტიკაში გაუგებრობას იწვევს, თუ ვინ უნდა მოითხოვოს ანგარიშის შედგენა საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს, როდესაც შეთანხმება ხდება როგორც ბრალზე, ასევე სასჯელზე და დამნაშავედ/უდანაშაულოდ ცნობისა და სასჯელის შეფარდების ეტაპები ერთმანეთისაგან გამიჯნული არ არის. აქტუალურია აგრეთვე კითხვა აღნიშნულ ეტაპზე, კითხვარის სრულად შევსებით ხომ არ ირღვევა არსებული კანონქვემდებარე აქტი.

როგორც კვლევამ ცხადყო, მართლმსაჯულების პროცესის მონაწილეების მოსაზრება საპროცესო შეთანხმებისას ანგარიშის გამომთხოვი სუბიექტის შესახებ ცალსახად განსხვავდება. პროკურატურის წარმომადგენელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ვინაიდან სასჯელის დანიშვნას (საპროცესოს შეთანხმების დამტკიცების შედეგად) ამ შემთხვევაშიც სასამართლო ახორციელებს, პროცედურულად ინდივიდუალური შეფასების ანგარიშიც მან უნდა გამოითხოვოს. კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი პროკურორის განმარტებით: *„ერთი საკითხი, რაზეც ჩვენ ვაპელირებდით თავის დროზე როდესაც არსებითად იხილება საქმე, ანუ სასამართლოშია საქმე და გვსურს, რომ საპროცესო შეთანხმებით დავნიშნოთ სასჯელი, ასეთ შემთხვევაში ვინ უნდა გამოითხოვოს ეს ანგარიში, ამასთან დაკავშირებით იყო გარკვეული ხარვეზები“.*

კვლევაში მონაწილე მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ საპროცესო

[37] არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 27.

[38] “საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის ერთობლივი ბრძანებით #132/#95/#23.

შეთანხმების დროს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოთხოვა უნდა განხორციელდეს პროკურორების მიერ, რადგან მათ უნდა შეძლონ თანაზომიერ, ოპტიმალურ სასჯელზე შეთანხმება არასრულწლოვანთან. ერთ-ერთმა მოსამართლემ აღნიშნა: *„ჩვენ საპროცესო შეთანხმებას ვერ ვამტკიცებთ, თუ ინდივიდუალური შეფასების ანგარიში არ იქნა მოპოვებული და სასჯელზე შეთანხმებას რომ ახდენენ მხარეები, ეს უნდა გაითვალისწინონ, უნდა ჰქოდნეთ უკვე“*. რაც შეეხება ადვოკატების მოსაზრებას, ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა: *„განაჩენის გამოტანის დროს სასამართლო მიმართავს ... მაქვს პრაქტიკაში ამ წუთასაც საქმე გადასაწყვეტი, იმის გამო, რომ პროკურატურის მიერ გამომდინარე იქიდან, რომ ჯერ პრაქტიკა არ იყო დანერგილი ანგარიშს მომზადების, პროკურატურას როგორ უნდა მიემართა და შემდეგ როგორ უნდა მიეღო ეს დასკვნა და ა.შ. გაჭიანურდა პროცედურა და შესაბამისად საპროცესო გარიგება გვიან გაფორმდა.“*

კვლევის მონაცემების ანალიზის საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ საპროცესო შეთანხმების დროს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოთხოვა უნდა განახორციელოს პროკურორმა, რათა უზრუნველყოფილი იქნას სასჯელზე შეთანხმებისას არასრულწლოვნის ინდივიდუალური ფაქტორების გათვალისწინება. მით უფრო, რომ კოდექსი პროკურორს ანიჭებს უფლებამოსილებას დადგენილებით მოითხოვოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება სხვა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სტადიაზეც, თუ საქმის მიმდინარეობა და ვადები ამის შესაძლებლობას იძლევა.

რაც შეეხება საპროცესო შეთახმებისას ანგარიშის ორად გაყოფის შეუძლებლობას, მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ ეს არ ხელყოფს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს, უფრო მეტიც ისინი მიიჩნევენ, რომ ამგვარ დაყოფას ხშირად მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს. მათი განცხადებით, მაშინაც კი, თუ ანგარიშში, არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს და იძლევა საკუთარი თავის მამხილებელ ინფორმაციას, ეს ვერ გახდება გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველი, თუ არ არსებობს სხვა უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა. მოსამართლეების განმარტებით, ანგარიშის სრულად წარმოდგენა, ვერც მათ შინაგან რწმენაზე იქონიებს გავლენას, რადგან შინაგანი რწმენით ხდება მხოლოდ არსებული უტყუარი მტკიცებულებების შეფასება და მტკიცებულებების გარეშე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს. მოსამართლეები აღნიშნავენ, რომ რადგან საპროცესო შეთანხმებას საფუძვლად უდევს აღიარება, იმავე ეტაპზე ჩადენილი ქმედების მიმართ დამოკიდებულებაზე საუბარი ვერ იქნება არასრულწლოვნის ინტერესის საწინააღმდეგო, ამასთან შეთანხმების პროცესში ადვოკატის ჩართულობა სავალდებულოა, რაც აღიარების არანებაყოფლობითობას და ზეწოლის რისკებს კიდევ უფრო ამცირებს. ერთ-ერთი მოსამართლე აღნიშნავს: *„სასჯელის დანიშვნის სხდომა ცალკე გავქვს, გამიჯნულია და ხანდახან ვფიქრობ, რომ ამის აუცილებლობა არ*

არის, რადგან სასჯელის დანიშვნის სხდომა როდესაც დაინიშნა, მიზანი იყო ის, რომ როდესაც პირის დამნაშავედ ცნობა მოხდებოდა, შემდეგ სასამართლო მიმართავდა სხვა უწყებას, გამოითხოვდა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს და ამ ანგარიშის და სხვა გარემოებების გათვალისწინებით ადეკვატურ სასჯელს ნიშნავდა, არა უგვიანეს მეშვიდე დღისა, მაგრამ, გარდა ამისა, მე-14 მუხლშია, როდესაც ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს არასრულწლოვნის აღზრდის, განვითარების და ა.შ. სხვადასხვა მახასიათებლები. თუ ეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში არ აქვს სასამართლოს მანამდე, სანამ დამნაშავედ ცნობს პიროვნებას, რეალურად ამ ყველა გარემოებას მაინც ვერ აფასებს იმის გარეშე, რადგან ის უფრო სრულყოფილ წარმოადგენას გაძლევს არასრულწლოვნის პიროვნებაზე, აღზრდაზე, გარემოზე, წრეზე, რატომ მივიდა დანაშაულამდე და ა.შ.“

მოსამართლეთა განმარტებით, ვინაიდან 7 დღე ბრალის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ არ იყო საკმარისი ანგარიშის მოსამზადებლად, მოსამართლეები და სოციალური მუშაკები შეთანხმდნენ, რომ როდესაც არსებითი განხილვა ბოლო ეტაპზე გადავიდოდა, მოსამართლე უკვე მიმართავდა პრობაციის სააგენტოს ანგარიშის მომზადების თაობაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრობაციის სააგენტო სასამართლოს უგზავნის ანგარიშს, რომელშიც 2 პუნქტი არ არის შევსებული, იმისათვის რომ არ დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმფცია. მოსამართლეებს მიაჩნიათ, რომ დანაშაულთან დაკავშირებით არსებული პუნქტების შევსება ვერ დაარღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას და გავლენას ვერ მოახდენს მოსამართლის გადაწყვეტილებაზე. ერთ-ერთი მოსამართლე აღნიშნავს: *„რეალურად მე ვფიქრობ, რომ ამის პრობლემა საერთოდ არ დგას. ჯერ ერთი, ეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში რაიმე მტკიცებულებას არ წარმოადგენს, არის სარეკომენდაციო ხასიათის, მერე, თუ საქმეში არ არის საკმარისი მტკიცებულება, რაც არ უნდა ეწეროს ამ ანგარიშში, ჩვენ პირს დამნაშავედ მაინც ვერ ვცნობთ...რეალურად საბოლო ჯამში, ფორმალური ხასიათი მიიღო სასჯელის დანიშვნის სხდომის ცალკე გამოყოფამ, იმიტომ, რომ მოსამართლეს აზრიც ჩამოყალიბებული აქვს, მით უმეტეს, როცა უკვე დამნაშავედ სცნო პირი, მერე კეთდება ის ჩანაწერი და ვერ ხვდები რა გავლენა შეიძლება იქონიოს...მოსამართლე თუ შეიძლება იმის გავლენის ქვეშ მოექცეს, ეს არის უკვე უშუალოდ მოსამართლის პრობლემა....ძალიან ბერვჯერ მქონია შინაგანი რწმენა, მაგრამ გამიმართლებია, იმიტომ, რომ არ იყო მტკიცებულებები“.* სხვა *მოსამართლის განმარტებით: „ზოგადად ანგარიშიც რომ იყოს სრულყოფილად შევსებული, მე როგორც პროფესიონალი მოსამართლე და დიდი გამოცდილების მქონე, ვფიქრობ, რომ ეს მოსამართლისთვის არაფერს არ ცვლის....: მე ამასწინათაც ვთქვი ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომ მე, როგორც მოსამართლეს, ბრალდებულის აღიარებითი ჩვენებაც რომ მიდევს საქმეში, ჩემთვის ის მტკიცებულებად არ არსებობს, არანაირი შინაგანი რწმენა არ არსებობს ჩემთვის, რაც არ უნდა რწმენა მქონდეს მე*

გადაწყვეტილებას ვიღებ მტკიცებულებების საფუძველზე. შინაგანი რწმენა მაქვს და მტკიცებულებათა არასკმარისობა რომ მქონდეს, მე გამამტყუნებელ განაჩენს არ გამოვიტან".

პროკურორთა ნაწილს აქვს კითხვები ანგარიშის გამოყენებასთან, მის განმარტებასთან დაკავშირებით. ისინი აღნიშნავენ: *„მაინტერესებს როგორ უნდა ვიხელმძღვანელო მე, პროკურორმა, საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე იმ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშით, სადაც ფაქტობრივად სასჯელზე საერთოდ არ არის საუბარი, საერთოდ არ არის საუბარი უფრო მინიმალურისკენ უნდა ვიყო მოწოდებული, რომ მინიმალური დავუნიშნო, თუ უფრო მაქსიმალურისკენ, საერთოდ როგორ უნდა გავიგო ეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში?"*

რაც შეეხება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ვადებს, ერთობლივი ბრძანების მიხედვით, ანგარიშის შედგენის ვადას მიმართვაში განსაზღვრავს მოსამართლე/პროკურორი, თუმცა პრაქტიკით დადასტურდა, რომ სრულყოფილი ანგარიშის მომზადებისთვის პრობაციის სააგენტოს ესაჭიროება 10 სამუშაო დღე, იმისათვის რომ მოახერხოს ყველა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება. მართალია ამ ეტაპზე, ეს ნორმატიულ დონეზე დარეგულირებული არ არის, თუმცა არსებობს მხარეებს შორის უწყებათა შორის სამუშაო შეხვედრებზე მიღწეული შეთანხმება აღნიშნული ვადის დაცვის შესახებ. მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები როდესაც პრობაციის ოფიცრებს საკმარისი დრო არ ეძლევათ ანგარიშის მოსამზადებლად, შესაბამისად ვერ ხერხდება ანგარიშის სრულყოფილად მომზადება, რაც ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს. მოსამართლის განმარტებით - *„ვინაიდან ეს უნდა იყოს ყველა ეტაპზე და როგორც კანონში წერია ისე უნდა შესრულდეს, ის ვადა, რაც ჩვენ სასჯელის დანიშვნის სხდომისთვის გვაქვს, არაუგვიანეს 7 დღისა უნდა გაიმართოს, ეს იქნებოდა გონივრული პრობაციის ეროვნული სააგენტოსთვის, მაგრამ ვინაიდან, ვთქვათ ავიღოთ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, სადაც გამორიცხულია განრიდების გამოყენება, საერთოდ არ ამზადებს პროცესის მწარმოებელი ორგანო ამ ანგარიშს და ისე მივდივართ ლამის განაჩენის ეტაპამდე, რომ ჩვენ არ გვაქვს შეფასება. ასეთ შემხთვევაში, პრობაციის ეროვნულ სააგენტოს უჭირს ამ 7 დღიან ვადაში ანგარიშის მომზადება."*

მნიშვნელოვანია ანგარიშის მომზადებისთვის კონკრეტული ვადის ნორმატიულად განსაზღვრა, რაც ყველა მხარეს მისცემს უფრო მშვიდად და კომპეტენტურად მუშაობის შესაძლებლობას. ამჟამად პრაქტიკაში მაინც ხშირია შემთხვევები, როდესაც პრობაციის ოფიცრები ბოლომდე ვერ ახდენენ კითხვარში მითითებული წყაროების სრულად ამოწურვას და დროის სიმცირის გამო შემოიფარგლებიან მხოლოდ ბრალდებულისა და მისი ოჯახის წევრების ინტერვიუირებით. მაქსიმალურად ობიექტური დასკვნის მისაღებად კი მნიშვნელოვანია გასაუბრება, როგორც ოჯახთან და თავად არასრულწლოვანთან, ასევე მის გარემოცვასთან, მეზობლებთან, იმ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სადაც

სწავლობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. რიგ შემთხვევებში ანგარიშის არასრულყოფილებაზე საუბრობენ როგორც მოსამართლეები, ასევე ადვოკატები. მოსამართლეთა განმარტებით: *„ანგარიში შევსებული ვერ მოდის, იმიტომ, რომ მაინც დრო არ არის საკმარისი თვითონ მათთვის... სკოლიდან მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანია, რადგან სკოლა არის ის ადგილი, სადაც ბავშვი დიდ დროს ატარებს, შესაძლოა ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ ის, რაც იცის მისმა მასწავლებელმა.“*

ადვოკატებიც აღნიშნავენ, რომ იმ ანგარიშებში, რომლებსაც ისინი ეცნობიან, წყაროებად მითითებულია მხოლოდ ოჯახის წევრებთან ჩატარებული ინტერვიუ - *„ვფიქრობ უფრო მნიშვნელოვანია წავიდ-ნენ სკოლაში ამ ბავშვებთან, გამოკითხონ მისი მეგობრები, გაიგონ როგორ ცხოვრობდა, იმიტომ, რომ დედამ და მამამ შესაძლოა პირიქით, აბსოლუტურად სხვა სურათი მოგვცენ...ანგარიშთან დაკავშირებით როგორც მოგახსენეთ მშობლების გამოკითხვა არ არის საკმარისი, უნდა გამოიკვლიონ ბავშვის წარსული, გაესაუბრონ მეგობრებს, მეზობლებს მასწავლებლებს და ა.შ. “*

ანგარიშის მომზადების ვადის საკითხს უკავშირდება პრობაციის სააგენტოს ადამიანური რესურსების საკითხიც. პრობაციის სააგენტოში ამჟამად დასაქმებულია 35 სოციალური მუშაკი. თითოეულ მათგანს თვეში დაახლოებით 40 საქმე აქვს წარმოებაში, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და შესაძლოა საბოლოო ჯამში სოციალური მუშაკების საქმიანობის ხარისხზეც აისახოს. სოციალუ-რი მუშაკების მცირე რაოდენობისა და მათი მრავალმხრივი ფუნქციების გამო, თითოეულ სოციალურ მუშაკს მრავალი ტიპის ანგარიშის მომზადება უხდება. ფაქტიურად ერთ საქმესთან დაკავშირებით შესაძლოა მათ სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებისთვის რამდენიმე განსხვავებული ფორმატის ანგარიშის მომზადება მოუხდეთ, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოხდეს სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდა. მნიშვნელოვანია, რომ სოციალურ მუშაკებს ანგარიშის მოსამზადებლად საკმარისი ვადა მიეცეთ, რათა აღნიშნულმა დოკუმენტმა არ მიიღოს მხოლოდ ფორმალური ხასიათი და საბოლოო ჯამში უპასუხოს იმ მიზანს რისთვისაც შეიქმნა. ასევე აუცილებელია მართლმსაჯულების პროცესის მონაწილეებს (პროკურატურას, სასამართლოს) მიეცეთ უფრო კონკრეტული რეკომენდაციები და განმარტებები, რათა ანგარიში მათთვის რეალურად სასარგებლო და ინფორმატიული იყოს.

ამჟამად არსებული პრაქტიკით, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები სასამართლოსა და პროკურატურას უგზავნიან შევსებული კითხვარის (სამუშაო ინსტრუმენტის) სრულ ვერსიას, რომელსაც ავსებენ სხვადასხვა წყაროებთან ვიზიტის შედეგად და არა მხოლოდ კითხვარის ანალიზის საფუძველზე მომზადებულ შესაბამის დასკვნას. აღნიშნული პრაქტიკა არ არის სრულ შესაბამისობაში ინდივიდუალური ანგარიშის მიზნებთან და პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობასთან. **შესაბამის უწყებებს უნდა მიეწოდოთ მხოლოდ მათი ლეგიტიმური**

მიზნის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაცია (ამ შემთხვევაში, ეს იქნებოდა ინდივიდუალური შეფასების ანგარიში დასკვნის სახით, სადაც ასახული იქნებოდა ის ინფორმაცია რაც საჭიროა მოსამართლისთვის სასჯელის განსასაზღვრად, შესაბამის წყაროებზე მითითებით), ხოლო ის დეტალები რაც გამოკვლეულ იქნა და საფუძვლად დაედო დასკვნის მომზადებას მოიცავს ლეგიტიმური მიზნის არაპროპორციულ (ბევრად მეტ, ხშირად კი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ ინფორმაციას და მიზანშეწონილია სოციალური მუშაკის პროფესიული ეთიკიდან გამომდინარე დარჩეს მასსა და გამოკითხულ პირს შორის). აქვე აღსანიშნავია, რომ რადგან თავად საუბრის შინაარსი არის კონფიდენციალური (აღნიშნული შეხვედრა ხორციელდება პირისპირ, მათ შორის დაცვის მხარისა და კანონიერი წარმომადგენლის დაუსწრებლად) საუბრის სრული დოკუმენტაციის პროკურატურის, ადვოკატისა და სასამართლოსთვის მიწოდება ეწინააღმდეგება კონფიდენციალობის პრინციპს. მიუხედავად ამისა, მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ მათთვის სრული კითხვარის მიღება მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლოა იქ მათთვის ღირებული ინფორმაცია ამოიკითხონ, რაც დასკვნაში შესაძლოა ვერ მოხვდეს. ევროსაბჭოს ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით, *„დოსიეში არსებული ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობა მიეცემათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც ამის კანონიერი უფლება აქვთ და მხოლოდ იმ დოზით, რა დოზითაც აუცილებელია ინფორმაციის გამომთხოვი ორგანოს წინაშე არსებული დავალების შესრულებისათვის".* [39] *პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად - „მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით ... მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამის კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი"*[40].

რეკომენდაციები:

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

- **განხორციელდეს ცვლილებები ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მეთოდოლოგიის, წესისა სტანდარტის განსაზღვრის შესახებ ერთობლივ ბრძანებაში[41], რის საფუძველზეც განისაზღვრება ანგარიშის მომზადების ვადები და ანგარიშის მომზადების მოთხოვნაზე უფლებამოსილი სუბიექტები. კერძოდ,**

[39] ევროსაბჭოს რეკომენდაციის (CM/REC(2008)11).

[40] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", მუხლი 4.

[41] საქართველოს იუსტიციის მინისტრის,საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელ აღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №132/№95/№23.

საპროცესო შეთანხმებისას, ანგარიშის მოთხოვნის უფლება დაეკისროს პროკურორს. ანგარიშის მომზადების ვადად, ორივე შემთხვევაში განისაზღვროს, მინიმუმ 10 სამუშაო დღე;

- **გადაიდგას ნაბიჯები სასჯელის დანიშვნისას, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შიდა ხარისხის კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით;**
- **ჩამოყალიბდეს სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარმოების სახელმძღვანელო პრინციპები ამ პროცესში ჩართული ყველა სუბიექტისთვის;**
- **მოსამართლეს/პროკურორს მიეწოდოს სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიში დასკვნის სახით და არ მოხდეს შეფასების საფუძვლად გამოყენებული კითხვარის სრულად გადაგზავნა, სადაც ხშირად ასახულია ისეთი სახის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები, რაც რეალურად არ არის რელევანტური სასჯელის შეფარდების მიზნისთვის.**

საქართველოს მთავრობას

- **დაიწყოს მსჯელობა პრობაციის ეროვნულ სააგენტოში სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.**

ნაწილი 3. ხარისხის კონტროლის სისტემა

3.1 ანალიზი და შეფასება

არასრულწოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, მისივე მიღებისთანავე გაიწერა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესონალების გადამზადების და შესაბამის მოდულების შექმნის ვალდებულება. კერძოდ, 101-ე მუხლში აღნიშნულია, რომ - *„2016 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღება; 2016 წლის 1 იანვრამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების მიღება; 2016 წლის 1 იანვრამდე საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა, განათლებისა და მეცნიერების და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრებმა უზრუნველყონ ამ კოდექსით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა და შესაბამისი ნორმატიული აქტების ამ კოდექსთან შესაბამისობა. 2016 წლის 1 იანვრამდე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უზრუნველყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ადვოკატის სპეციალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმის*

დამტკიცება.“ [42]

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის N668 დადგენილების საფუძველზე დაამტკიცა - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი. აღნიშნული დებულების თანახმად - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მონაწილე ყველა პირი ვალდებულია, გავლილი ჰქონდეს ტრენინგები შემდეგ სფეროებში: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები; ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები; ძალადობა ბავშვზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე; დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა[43]. ამავე დებულებაში ასახულია თითოეული მოდულის მიზანი, ის პასუხისმგებელი სასწავლო დაწესებულებები, ვისაც ჰქონდა შესაბამისი პროფესიონალების გადამზადების ვალდებულება. აღნიშნულ დადგენილებაში საუბარია მხოლოდ იმაზე, თუ რა კომპონენტებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს პროგრამების შეფასება, კერძოდ - ტრენინგის მონაწილეთა უკუკავშირის ანალიზი; პროგრამის მონაწილეთა დასწრების შეფასება; პროგრამის განხორციელების პროცესში პარტნიორთა დაკვირვებების შედეგები[44].

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე არ არის განსაზღრული, **თუ როგორ უნდა ხდებოდეს შესაბამისი კანდიდატების შერჩევა გადამზადებისთვის, ვისაც უნდა დაევალოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ეფექტიანად წარმართვა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში**. ასევე არ არის განსაზღვრული გადამზადების უწყვეტი პროცესის მარეგულირებელი დებულებები, რაც უმნიშვნელოვანესია ერთიანი სტანდარტის შენარჩუნებისთვის. *„პეკინური წესების“ თანახმად - „პროფესიული განათლება, მუშაობის პროცესში სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება და ინსტრუქტაჟის სხვა სათანადო მოდელები გამოიყენება არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მთელი პერსონალის სათანადო პროფესიული კომპეტენტურობის უზრუნველყოფისა და შენარჩუნებისათვის“*[45]. *აქვე აღნიშნულია, რომ -„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პერსონალი უნდა აირჩეს იმ არასრულწლოვანთა მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რომლებიც უშუალო კონტაქტში არიან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემასთან“*[46]. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიუკერძოებელი და ეფექტიანი ადმინისტრირების აუცილებელი ელემენტია პროფესიული კვალიფიკაცია. შესაბამისად, აუცილებელია პერსონალის არჩევის, დაწინაურებისა და პროფესიული მომზადების

[42] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.101.

[43] საქართველოს მთავრობის დადგენილენა N668 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი, მ.1.

[44] იქვე, მ.4.

[45] პეკინური წესები, წესი 22.1.

[46] იქვე, წესი 22.2.

გაუმჯობესება და მათთვის ყველა საშუალების გადაცემა, რათა შეძლონ დაკისრებული ფუნქციების სათანადოდ შესრულება.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, რომ *„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების ხარისხისთვის აუცილებელია, რომ ამ პროცესში ჩართული ყველა სპეციალისტი, მათ შორის, სამართალდამცავი და იურიდიული სამსახურების თანამშრომლები ტრენინგების საშუალებით გაეცნონ ზოგადად კონვენციის, კონკრეტულად კი, მისი იმ ნაწილის შინაარსსა და დებულებების მნიშვნელობას, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული მათ ყოველდღიურ პრაქტიკასთან. ტრენინგები უნდა მომზადდეს სისტემატურად და უწყვეტად, ხოლო ინფორმაცია არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი დებულებებით“*[47].

სამწუხაროდ, აღნიშნული დადგენილება და შემდგომი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არასრულწლოვნთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზაცია განხორციელდა ერთჯერადად, თუმცა არ ჩანს სწავლების პროცესის უწყვეტობის, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შეფასების სისტემა.

კვლევის ფარგლებში, ადვოკატების ნაწილმა აღნიშნა, რომ მართალია საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე პირები, თუმცა განყოფილებაში არსებული ინფრასტრუქტურა, საგამოძიებო ორგანოებში არსებული იერარქია, არ იძლევა შესაძლებლობას, რომ არასრუწლოვნის გამოკითხვა მოხდეს იზოლირებულად, სხვა არასპეციალიზებულ პირთა ჩაურევლად. ადვოკატები საუბრობენ, რომ არის შემთხვევები, როდესაც განყოფილების უფროსი, ან სხვა ხელმძღვანელი პირი გამოკითხვის პროცესში კომუნიკაციას ამყარებს არასრუწლოვანთან, ზოგჯერ კი ფსიქოლოგიურ ზეწოლასაც ახორციელებს მასზე.

ბათუმში, კერძო ადვოკატების ნაწილმა განაცხადა, რომ კოდექსის ამოქმედების ეტაპისთვის ვერ ესწრებოდა შესაბამისი უწყებების თანამშრომელთა გადამზადება, ამიტომ მათ ნაწილს უბრალოდ დაურიგეს სერთიფიკატები: *„როგორც ვიცით ძალიან ბევრს არცერთი ტრენინგი არ გაუვლია, არც პროკურორებს, არც მოსამართლეებს, პირდაპირ გადასცეს სერტიფიკატი. არაერთი შემთხვევა იყო ასეთი. სახაზინო ადვოკატებსაც დაურიგეს სერთიფიკატები სულ თავიდან.“*

მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის კონტროლის სისტემა უწყებებში იყოს დანერგილი იმგვარად, რომ მუდმივად, ყოველდღიურ რეჟიმში იყოს შესაძლებელი პროცესის ანალიზი, ხარვეზების იდენტიფიცირება და სისტემის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება. „პეკინურ წესებში“ აღნიშნულია, რომ *„ძალისხმევა უნდა დაეთმოს აუცილებელი გამოკვლევის ორგანიზებასა და ხელშეწყობას, რომელიც წარმოადგენს ეფექტური დაგეგმვისა და პოლიტიკის ფორმულირების საფუძველს“*[48].

[47] გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პ.97.

[48] პეკინური წესები, წესი 30.1.

იქვე ხაზგასმულია, რომ *„ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ადმინისტრირების ფარგლებში შეიქმნას მუდმივი შეფასებითი გამოკვლევის მექანიზმი და შეგროვდეს და გაანალიზდეს სათანადო მონაცემები და ინფორმაცია ადმინისტრირების შეფასების, მომავალში გაუმჯობესებისა და რეფორმირების მიზნით“*[49]. *ასევე მნიშვნელოვანია, რომ სპეციალიზებული თანამდებობის პირები გადიოდნენ განგრძობად გადამზადებას. განგრძობადი სწავლების პირობებში, მაშინაც თუ სპეციალისტების ნაწილმა მართლაც ვერ შეძლო სპეციალიზაციის კურსის სრულყოფილად გავლა კოდექსის ამოქმედებამდე, მათ ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ არასრუწლოვნებთან მუშაობის სპეციფიკას და შეიძინონ შესაბამისი უნარები გადამზადების შემდგომ ეტაპებზე.*

„რიადის სახელმძღვანელო პრინციპების“ თანახმად, *„მცდელობები უნდა იქნეს განხორციელებული და შესაბამისი მექანიზმები უნდა შეიქმნას, რათა მრავალ დისციპლინურ და შიდა დისციპლინურ საფუძველზე, ურთიერთობა და კოორდინაცია განხორციელდეს ეკონომიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სააგენტოებსა და სამსახურებს, მართლმსაჯულების სისტემას, ახალგაზრდებს, საზოგადოებასა და განვითარების სააგენტოებსა და სხვა დაწესებულებებს შორის“*[50]. *იქვე აღნიშნულია, რომ „ინფორმაციის გაცვლა, გამოცდილება და ექსპერტიზა, რომელიც მიიღწევა პროექტების, პროგრამების, პრაქტიკისა და იმ ინიციატივების საფუძველზე, რომლებიც ეხება არასრულწლოვანთა დანაშაულს, დანაშაულის აღკვეთასა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას, უნდა გაძლიერდეს ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე“*[51].

კვლევების/ანალიზის გამოყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის საფუძვლად საყოველთაოდ აღიარებულია მნიშვნელოვან მექანიზმად, რათა პრაქტიკა შეესაბამებოდეს თეორიაში არსებულ მიღწევებს და მოხდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარება და გაუმჯობესება. მუდმივი კავშირი კვლევებსა და პოლიტიკას შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის[52].

მას შემდეგ, რაც სახელმწოფოები მიიღებენ ისეთ კანონმდებლობას, რომელიც დააარსებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას, და სისტემაში მომუშავე ყველა სპეციალისტი გადამზადდება, მაინც შეიძლება დარჩეს განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები. ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა განახორციელონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შეფასება, კერძოდ კი შეაფასონ გატარებული ზომების,

[49] პეკინური წესები, წესი 30.3.

[50] რიადის სახელმძღვანელო პრინციპები, პ.60.

[51] იქვე, პ.61.

[52] პეკინური წესები, წესი 30, კომენტარი.

მათ შორის დისკრიმინაციის, რეინტეგრაციისა და რეციდივიზმთან დაკავშირებული ზომების ეფექტურობა.[53]

მნიშვნელოვანია, რომ სახელწიფოებმა შეაგროვონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკისა და ადმინისტრირების შესახებ ზუსტი, დეტალიზებული მონაცემები და აკოტროლონ ისინი. ეს საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, გამოავლინოს არასრულწლოვანთა დანაშაულის ტენდენციები და განსაზღვროს საპასუხო ზომებისა და პროგრამების ქმედითობა. ეფექტიანი მონიტორინგი და შეფასება სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას, დაგეგმონ რესურსების მიზნობრივი გამოყოფა და შეიმუშავონ და დახვეწონ ინიციატივები.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას

- **შევიდეს ცვლილებები მთავრობის დადგენილებაში[54] და ჩამოყალიბდეს არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მუშაობის მსურველ პირთა შერჩევის კრიტერიუმები. ასევე განისაზღროს ისეთი ტიპის რეგულაციები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის პროფესიონალთა გადამზადების უწყვეტი პროცესის არსებობას ყველა შესაბამის უწყებაში;**
- **მართლმსაჯულების პროცესში ჩართულმა ყველა უწყებამ, შეიმუშაოს და ჩამოაყალიბოს ხარისხის კონტროლის ეფექტიანი შიდა სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება კვლევებისა და ანალიზის განოხრციელებაზე.**

3.2 სპეციალიზაციის გავრცელების სფერო

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადგილობრივი კოდექსი ადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პირთა სპეციალიზაციის ვალდებულებას.[55] ამავე კოდექსის თანახმად კი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი არეგულირებს არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის ან სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, მათ შორის დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, საქმის სასამართლოში განხილვას, დანიშნული სასჯელის ან სხვა ზომის აღსრულებასა და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ბუნებრივია ხაზს უსვამს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს უნდა ახორციელებდნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზირებული პირები, როგორც ბრალდებულ, ასევე

[53] ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პ.99.

[54] საქართველოს მთავრობის დადგენილება №668 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ.

[55] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.16.

პროცესში მონაწილე მოწმე და დაზარალებულ არასრუწლოვნებთან ურთიერთობისას. თუმცა სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვნების მიმართ ჩამოყალიბდა არაერთგვაროვანი პრაქტიკა.

სისხლის სამართალწარმოებისას პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც პროცესში ძირითადად მონაწილეობენ სრულწლოვანი პირები, მათ შორის თავად ბრალდებულიც არის სრულწლოვანი, შესაბამისად გამოძიების ეტაპზე საქმეს უძღვება არასპეციალიზებული პროკურორი. თუმცა როცა ამ პროცესში ჩნდება არასრულწლოვანი დაზარალებული/მოწმე, ისმის კითხვა - <u>რა შემთხვევაში და რა ეტაპზეა სპეციალიზებული პირების ჩართვის აუცილებლობა? რამდენად არის საჭირო რომ მხოლოდ სპეციალიზებულმა პროკურორმა ან ადვოკატმა ჩაატაროს გამოძიება და მტკიცებულებათა შეგროვება სრული მოცულობით, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ტარდება სრულწლოვანი ბრალდებულის ირგვლივ და პროცესში მონაწილე სხვა დანარჩენი პირებიც არიან სრულწლოვნები?</u> ეს პრობლემა ასევე ვლინდება სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც, როდესაც არასპეციალიზებული მხარის (პროკურორი/ადვოკატი) მტკიცებულებებში დაზარალებულის ან მოწმის სტატუსით ფიგურირებს თუნდაც ერთი არასრულწლოვანი და ის არის შეყვანილი დასაკითხ პირთა სიაში. მიუხედავად იმისა, რომ არასპეციალიზებულ პროკურორს/ადვოკატს შეუძლია თავად განახორციელოს მტკიცებულებათა გამოკვლევა, ხშირ შემთხვევაში, ზოგიერთი მოსამართლე მათგან მაინც ითხოვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზაციას და არ თანხმდება, რომ არასრულწლოვანთან კონკრეტული საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედება ჩაატაროს არასპეციალიზებულმა პროკურორმა ან ადვოკატმა.

როგორც პროკურორები აცხადებენ: *„საინტერესოა რა მოცულობით უნდა იქნას წარმოებული გამოძიება, მაგალითად, დაზარალებული არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმეზე, იმიტომ, რომ მე პირადად, როგორც პროკურორი ვხედავ ამ კოდექსის მიზნებს შემდგენაირად, რომ უშუალოდ არასრულწლოვანთან მხოლოდ იმ პირებს ჰქონდეთ შეხება როგორც გამოძიების, ასევე სასამართლო ეტაპზე, რომლებიც არიან როგორც სპეციალიზებული, ასევე კომპეტენტურები და აქვთ შესაბამისი მიდგომა არასრულწლოვნების მიმართ, რომ მათი ინტერესები რამე ეტაპზე არ დაირღვეს“*.

ადვოკატები ასევე აღნიშნავენ: *„როცა სრულწლოვანია ბრალდებული და სრულწლოვანთან უწევს მუშაობა პროკურორს სასამართლოში, შესაძლებელია არ იყოს სპეციალიზებული პროკურორი და კონკრეტულად რაღაც საგამოძებო მოქმედებაში, თუნდაც დაზარალებულის დაკითხვაში, შევიდეს ის პროკურორი ვინც ეს კურსი გაიარა, ხოლო დანარჩენი პროცედურები აწარმოოს იმ ადამიანმა, ვინც ზოგადად არ არის სპეციალიზებული“. „პრაქტიკა არა მხოლოდ ბრალდებულ არასრულწლოვანთან და დაზარალებულ არასრულწლოვანთან, არამედ მოწმე არასრულწლოვანთან მიმართებაშიც, როდესაც მოწმეა დასაკითხი ან გამოსაკვლევია*

როგორც მტკიცებულება, სანამ არასრულწლოვანი მოწმე დაიკითხება, მანამდე სასამართლოს აქვს ასეთი მიდგომა და ჩამოაყალიბა ეს პრაქტიკა, რომ უნდა იღებდნენ მონაწილეობას სპეციალიზებული პროკურორი და ადვოკატი. ერთ-ერთმა პროკურორმა ასევე განაცხადა: „ამ კოდექსის აზრს ვერ ვხედავ იმაში, რომ მთელი მოცულობით, როდესაც არასრულწლოვანთან საერთოდ არ მაქვს შეხება, საერთოდ არ მიწევს მასთან კონტაქტი და კომუნიკაცია, რატომ უნდა მოხდეს დანარჩენი მოწმეების დაკითხვა სპეციალიზებული პროკურორების მიერ? აბსოლუტურად გაუგებარია.“

შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა დაცვის მხარეზეც. ადვოკატი რომელიც სრულწლოვანს იცავს და კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებს იურიდიულ დახმარებას, შესაძლებელია დადგეს ფაქტის წინაშე, როდესაც საპროცესო ან/და საგამოძიებო მოქმედების სახით საჭირო ხდება არასრულწლოვან დაზარალებულთან ან/და მოწმესთან გასაუბრება, გამოკითხვა და სასამართლოში დაკითხვა. ასევე სხვა მასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები, როგორიც არის დათვალიერება, ნიმუშის აღება და სხვა. კლიენტის ნებითა და შეთანხმებით შერჩეული ადვოკატი კლიენტის ნებართვით მოიძიებს და იწვევს სპეციალიზებულ ადვოკატს, რომელიც განახორციელებს კონკრეტულ მოქმედებას და შეადგენს შესაბამის ოქმს.

როგორც ადგილობრივი კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნაა, რომ სხვადასხვა ტიპის საგამოძიებო/საპროცესომოქმედებებისას,არასრულწლოვანთანშეხებაჰქონდეთ მხოლოდ სპეციალიზებულ პროფესიონალებს. იმ საქმეებზე, სადაც არასრულწლოვანი მოწმე ან დაზარალებულია, არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს, პროცესის ყველა მონაწილე იყოს სპეციალიზებული. საკმარისია მხოლოდ კონკრეტული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებისას მონაწილოებდეს სპეციალიზებული პირი. გარდა იმისა, რომ ამის აუცილებლობა არ არის, მსგავსი ტიპის პრაქტიკა იწვევს შესაბამისი სუბიექტების (გამომძიებელი, პროკურორი, ადვოკატი) გადატვირთვას და მათი რესურსის არარაციონალურად გამოყენებას.

აღნიშნულ საკანონმდებლო რეგულაციებსა და საერთაშორისო სტანდარტებში ასახული შესაბამისი დებულებების მიუხედავად, ჩამოყალიბდა არაერთგვაროვანი პრაქტიკა და ხდება არსებული ნორმების არაერთგვაროვანი გაგება. მაგალითად, ზოგ შემთხვევებში, მოსამართლეები ითხოვდნენ პროცესის ყველა მონაწილე ყოფილიყო სპეციალიზებული (მაგ. ბათუმში), სადაც მხოლოდ ერთი არასრულწლოვანი მოწმე ფიგურირებდა. თუმცა ყველა შემთხვევებში აღნიშნული პრაქტიკა არ დაფიქსირებულა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ჩამოყალიბდეს

სპეციალიზაციის გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები, ისეთ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, სადაც არასრულწლოვანი მოწმე ან/და დაზარალებული მონაწილეობს.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას

- **ჩამოყალიბდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზაციის სტანდარტების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები ისეთ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, სადაც არასრულწლოვანი მოწმე ან/და დაზარალებული მონაწილეობს.**

3.3 დაკითხვის/გამოკითხვის სახელმძღვანელო პრინციპები

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია განსაზღვრავს სახელმწიფოების ვალდებულებას საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ბავშვის უფლებების დაცვა გამოკითხვა/დაკითხვისას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რომ თითოეული ბავშვი უზრუნველოყოფილი იყოს სამართლებრივი და სხვა აუცილებელი დახმარების მიღებით თავისი დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის. ბავშვებს უნდა მიეცეთ დრო მათ კანონიერ წარმომადგენელთან გასატარებლად, იურისტისგან კონსულტაციის მისაღებად და გაერკვნენ იმ ვითარების არსში რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ, მისი ასაკისა და გონებრივი განვითარების შესაბამისად.

მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ბავშვები განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან. აუცილებელია სიფრთხილის დაცვა, რომ ბავშვებისგან ინფორმაციის მიღების პროცესში მათ მიერ განცდილი სტრესი მინიმუმადე იქნას დაყვანილი. უმრავლეს შემთხვევებში, სამართალდამცავ სისტემასთან ბავშვის პირველი კონტაქტი პოლიციელთან/გამომძიებელთან შეხვედრით იწყება, ანუ ადამიანებთან ურთიერთობით, რომლებიც საგამოძიებო დაკითხვებს/გამოკითხვებს ატარებენ ან იღებენ ინფორმაციას სავარაუდო დანაშაულის შესახებ. სპეციალურ გადამზადებასთან ერთად, მნიშვნელოვანია რომ ამ პროფესიონალებს ჰქონდეს კონკრეტული სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა წარმართონ დაკითხვის პროცესი.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე განმარტავს, რომ ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულება გულისხმობს პროცესს, სადაც:

- ბავშვს აქვს უფლება, იყოს მოსმენილი. ბავშვის მიერ გამოთქმულ შეხედულებებსა და მოსაზრებებს აუცილებლად უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა, მისი ასაკისა და განვითარების დონის გათვალისწინებით;

- ყველა პროცედურის მიმდინარეობისას ბავშვებს უნდა მოეპყრონ ყურადღებით, მათი ასაკის, განსაკუთრებული საჭიროებების, შემეცნების უნარის და მოწიფულობის ხარისხის გათვალისწინებით, აგრეთვე ურთიერთობაში მისი სიძნელეების გათვალისწინებითაც;
- ბავშვებთან ურთიერთობისას უნდა გამოიყენებოდეს მათი ასაკისა და გაგების უნარის შესატყვისი ენა;
- ბავშვების მონაწილეობით მიმდინარე სასამართლო სხდომები ადაპტირებული უნდა იყოს ბავშვის აღქმის ტემპთან და კონცენტრაციის უნართან, უნდა წარიმართოს რეგულარული შესვენებებით და დიდხანს არ უნდა გრძელდებოდეს;
- დაზარალებული ან მოწმე ბავშვების გამოკითხვა უნდა ჩატარდეს სპეციალურ ადაპტირებულ და მეგობრულ გარემოში, შესაბამისი სწავლება გავლილი სპეციალისტების მიერ;
- გამოკითხვათა რაოდენობა შეზღუდული უნდა იყოს, ხოლო ერთზე მეტი გამოკითხვის აუცილებლობის შემთხვევაში, ჩატარდეს ერთი და იმავე ადამიანის მიერ;
- ბავშვს ჩვენებათა გადმოსაცემად, უნდა შეიქმნას და პრაქტიკაში დაინერგოს ბავშვის გამოკითხვის პროტოკოლები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ბავშვის მოწიფულობის და განვითარების ხარისხი;
- ბავშვის ჩვენებები და განაცხადები არასოდეს უნდა აღიქმებოდეს, როგორც არასწორი ან არასარწმუნო, მხოლოდ ბავშვის ასაკზე აპელირებით.

<u>ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის /NICHD/ პროტოკოლი</u> არეგულირებს ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვის მეთოდიკას. მისი სტრუქტურა იძლევა საშუალებას, რომ ყურადღება გამახვილდეს გამოკითხვა/ დაკითხვისას ბავშვთან საწყისი ურთიერთობისას ურთიეთგაგების ჩამოყალიბებაზე, მეხსიერების გავარჯიშებაზე, გამოკითხვის არსებით ნაწილზე გადასვლის სიფრთხილეზე. NICHD პროტოკოლის მიხედვით გამოიყენება ღია, დამაზუსტებელი (არა მიმანიშნებელი), ფოკუსირებული კითხვები. „ხდება შემთხვევათა ანუ ვითარებათა გამიჯვნა და მეხსიერებაში ფრთხილად დახმარება. ასევე: შესვენება, არასრული ან/და გაუმხელელი ინფორმაციის მოპოვება, ნეიტრალური სასაუბრო თემა“.[56]

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, განისაზღვრა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი[57]. აღნიშნული სტანდარტის საფუძველზე განსაზღვრულია, თუ რა სახის გადამზადება უნდა

[56] ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტი (NICHD) -ს პროტოკოლი.
[57] საქართველოს მთავრობის დადგენილება N668 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი.

გაიარონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მონაწილე პირებმა:

	მოდული	მიმართულება
1.	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	სამართალი
2.	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები	სამართალი
3.	ანტისოციალური ქცევის სოციალური ასპექტები	ფსიქოლოგია
4.	ძალადობა ბავშვზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე	ფსიქოლოგია
5.	დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა (პროტოკოლი)	უნარების გაუმჯობესება

პროფესიონალების გადამზადება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია შესაბამის სუბიექტთა სპეციალიზაციის კუთხით, თუმცა მარტო ტრენინგების ჩატარება, არ ქმნის იმის გარანტიას, რომ პრაქტიკული იმპლემენტაცია შესაბამისობაში იქნება სასწავლო პროგრამასთან. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, 1018 პოლიციის თანამშრომლისგან, ვინც გაიარა ტრენინგი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, მხოლოდ 440 შეძლო სერთიფიკატის აღება. რაც შეადგენს საერთო რაოდენობის დაახლოებით 40%-ს.

	ჩაირიცხა	დაამთავრა
თბილისი	303	141
აჭარა	69	28
გურია	36	16
სამეგრელო-ზემო სვანეთი	103	41
იმერეთი-რაჭა ლეჩხუმი	141	73
მცხეთა-მთიანეთი	60	18
შიდა ქართლი	71	31
სამცხე-ჯავახეთი	56	24
ქვემო-ქართლი	85	22
კახეთი	91	45
აფხაზეთი	3	1
ჯამი	**1018**	**440**

გარდა იმისა, რომ ცალკე უნდა შეფასდეს სასწავლო პროცესის ეფექტურობა (არსებული შედეგების გათვალისწინებით), აღნიშნული ხარვეზი უფრო მეტად ავლენს დაკითხვის/გამოკითხვის სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპების, როგორც დამხმარე ინსტრუმენტის ჩამოყალიბების საჭიროებას, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ, ასევე მოწმე და დაზარალებულ არასრულწლოვნებთან მიმართებში. ასეთი სახის სახელმძღვანელო პრინციპების არსებობა, ხარისხის კონტროლის ეფექტიან სისტემასთან ერთად, შექმნის უფრო მეტი სამართლებრივი დაცვის გარანტიებს, სისხლის სამართლის პროცესში ჩართული არასრულწლოვნების მიმართ.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამჟამად პრაქტიკაში არის გამოკვეთილი ხარვეზები შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მხრიდან მოწმე და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან კომუნიკაციის პროცესში.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ნორმატიულად ჩამოყალიბდეს არასრულწლოვნების (როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი, ასევე მოწმე და დაზარალებული) დაკითხვის სახელმძღვანელო პრინციპები.

რეკომენდაციები:

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

საქართველოს მთავარ პროკურატურას

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

- **ნორმატიულად ჩამოყალიბდეს, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი, ასევე მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვანი პირების გამოკითხვის/დაკითხვის სახელმძღვანელო პრინციპები და განხორციელდეს შესაბამის პროფესიონალთა გადამზადება**.

3.4 ბავშვისთვის მეგობრული გარემო

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად: *„სასამართლო დარბაზის ბავშვის მიმართ კეთილგანწყობილ გარემოდ გარდაქმნამ შეიძლება საშუალება მისცეს ბავშვს, მონაწილეობა მიიღოს პროცესში, ვინაიდან ასეთი გარემო ხელს შეუწყობს ბავშვის სტრესული მდგომარეობისა და შიშის შემცირებას“*.[58] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ სასამართლოს ფიზიკური გარემო ვერ იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ დაგვესკვნა, რომ ადგილი ჰქონდა უსამართლო სასამართლოს, მაგრამ ეს შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ამგვარი დასკვნის გამოტანაში. *„სასამართლოს გარემოს ბავშვისადმი კეთილგანწყობილ გარემოდ გადაკეთება მოიცავს, მაგ: მოსამართლეთათვის იმის მოთხოვნას, რომ არ ჩაიცვან ოფიციალური მანტიები და ამის ნაცვლად ჩვეულებრივ სამოსში გამოეწყონ, სასამართლოს თანამშრომლების განლაგებას ბავშვის დონეზე, ნაცვლად ამაღლებულ სკამებზე ან პოდიუმზე განლაგებისა, ბავშვისათვის საშუალების მიცემას, იჯდეს მშობლის ან სხვა სათანადო უფროსის გვერდით და ა.შ“.*[59]

ევროსაბჭოს დირექტივა ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე, განსაზღვარავს, რომ - *„ყველა სამართალწარმოების პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვისადმი მოპყრობა მისი ასაკის, განსაკუთრებული*

[58] ტ. და ვ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, #24888/94 (1999).

[59] „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები“, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011 წლის მაისი.

საჭიროების, მისი სიმწიფის და განვითარების დონის, ასევე კომუნიკაციაში შესაძლო პრობლემების გათვალისწინებით. იმ საქმეების განხილვა, რომლებიც ბავშვებს შეეხება, ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს, და გარემო ბავშვისათვის არ უნდა იყოს შემაშინებელი[60] .... ბავშვის გამოკითხვისა და მოსაცდელ ოთახებში მაქსიმალურად ბავშვზე ორიენტირებული გარემო უნდა შეიქმნას[61] ... არასრულწლოვან სამართალდამრღვევთათვის ცალკე სპეციალიზირებული სასამართლოები (ან პალატები) უნდა შეიქმნას და პროცედურები შემუშავდეს. ეს შეიძლება ასევე გულისხმობდეს პოლიციის, სასამართლოს, ან პროკურატურის ბაზაზე სპეციალიზირებული განყოფილების შექმნას[62]".

თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევებში ვერცერთი უწყება ვერ უზრუნველყოფს ბავშვისათვის კეთილგანწყობილი გარემოს უზრუნველყოფას, მათ შორის ბავშვთან კონფიდენციალურ გასაუბრებას, რომ აღარაფერი ვთქვათ მის მიმართ შესაბამის მიდგომებზე და ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვაზე. კერძოდ, კვლევით დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს, ბავშვთან არასპეციალიზებულ პირთა კომუნიკაციას, პოლიციასა და პროკურატურაში მათ გამოკითხვას სხვა ბრალდებულებისა და თანამშრომლების თანდასწრებით. რაც შეეხება დროებითი მოთავსების იზოლატორში არასრუწლოვანთა განთავსებას, ისინი მოთავსებულნი არიან სრუწლოვანთაგან განცალკევებით, თუმცა არანაირი განსაკუთრებული სტანდარტი მათ ადგილსამყოფელთან და გარემოსთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი არ არის. კვლევის ფარგლებში ერთ-ერთმა ადვოკატმა განაცხადა: *„ჩვენ ხომ გვაქვს აკრძალვა, რომ დამკავებელი პირი არ შეიძლება იყოს ის, ვინც არ არის სპეციალიზირებული. მაგრამ პოლიციაში რომ მიიყვანს იქ კიდევ სპეციალიზირებული პოლიციელის გარდა უამრავი არასპეციალიზირებულია, მათ შორის უფროსი, მოადგილე, გამოძიებლები და ა.შ. ეს მიყვანილი ბავშვი ხშირ შემთხვევაში ყველასთანაა კომუნიკაციაში. ყველას აქვს მასთან შემხებლობა. ეს ცალსახად ეწინააღმდეგება მის ინტერესს და კანონის მოთხოვნას, რომ არ უნდა ჰქონდეს დაკავებულ არასრულწლოვანთან შემხებლობა ისეთ პირს, რომელიც არ არის სპეციალიზირებული.“ „საერთო ადგილსამყოფელში ჰყავთ სადაც არის ყველა, საერთო სივრცეში. ზოგჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ მიწის ქვეშ სარდაფში ჰყავდათ ჩაყვანილი. ერთხელ საერთოდ სარდაფში რადიოატორზე ჰყავდათ ბავშვი ხელბორკილით მიბმული“. პროკურორების ნაწილის* *განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთათვის სპეციალური განთავსების ადგილი უზრუნველყოფილი არ არის, მათი გამოკითხვისას მაინც მაქსიმალურად ხდება კოდექსით გათვალისწინებული სტანდარტების დაცვა: „არასრულწლოვნების გამოკითხვა არ ხდება იმ დიდ ჰოლებში სადაც როგორც წესი კითხავენ დაკავებულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში დამერწმუნეთ*

60 ევროპის საბჭოს მინისტრთა მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე, პ.54

61 იქვე, პ.62.

62 იქვე, პ.63

ადვოკატის მხრიდან შენიშვნა აუცილებლად მოხდებოდა, და ასეთი არ არის დღეის მდგომარეობით. შესაბამის ოთახებში ხდება ამ ბავშვების დაკითხვა, ოღონდ არა ისეთში, რომ განცალკევებით იყოს და ფანჯარა და კარი არ ჰქონდეს, ანუ ჩვეულებრივ ოთახებში, სადაც შეიძლება ბავშვი გამოიკითხოს. მთავარი ის არის, რომ მაგ ოთახში არ იყოს შესვლა–შემოსვლა, არ შევიდეს სხვა თანამშრომელი, ამას ნამდვილად ვუწევთ კონტროლს, ეს ნამდვილად კონტროლდება, მაგრამ სპეციალური ოთახები დღეის მდგომარეობით არ გვაქვს.“ მეორე პროკურორის განმარტებით: *„რომ ვთქვათ, რომ ახლა ყველაფერი უზრუნველყოფილია პოლიციაში, ასე არ არის, მაგრამ მიახლოებული იმ გარემოსთან სადაც უნდა იკითხებოდეს ბავშვი, ნამდვილად არის. ამის გაუმჯობესება მოხდება.“ პროკურატურის კიდევ ერთი წარმომადგენლის განცხადებით, რადგან პროკურატურაში ინფრასტრუქტურულად არ იყო შესაბამისი რესურსი, იცნობდნენ ბავშვის ფსიქოლოგის სამუშაო ადგილას დაკითხვის პრაქტიკასაც, რაც სწორედ არასრუწლოვნის საუკეთესო ინტერესს ემსახურებოდა: „თუ არსებობს აუცილებლობა, რომ არასრულწლოვანი გამოიკითხოს ისეთ ოთახში, რომელიც საჭიროა მისი ინტერესებისთვის, თუ საგამოძიებო უწყებაში მისი დაკითხვა გამოიწვევს იმ ზიანის ხელახლა მიყენებას რაც უკვე მიადგა, ასეთ შემთხვევებში შესაძლოა ფსიქოლოგთან გადავიყვანოთ და იქ დავკითხოთ. ასეც გაგვიკეთებია არაერთხელ, თუნდაც ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე. ამიტომ შეიძლება არ იყოს ინფრასტრუქტურა, თუმცა დამატებითი რესურსების გამოყენება ფსიქოლოგების მხრიდან ხელს უწყობს ამ ყველაფრის უზრუნველყოფას“.*

საწინააღმდეგო სურათს აღწერენ მოცემული კვლევის ფარგლებში გამოკითხული კანონიერი წარმომადგენლები. მათი განმარტებით, დაკითხვა მიმდინარეობს ჩვეულებრივ ოთახებში, ხშირად სხვა პირთა თანდასწრებით. იყო შემთხვევები, როდესაც ბავშვის უზრუნველყოფა არ განხორციელდა შესაბამისი საკვებით, მიუხედავად იმისა, რომ დაკითხვა დიდი ხნის მანძილზე გაგრძელდა: *„მშიერი იჯდა ბავში მთელი დღე. წავედი მერე მე დიაბეტი მაქვს, ცუდად გავხდი, მოვითხოვე გათავისუფლება და მოვუტანე ბავშვს საკვები.“ გამოკითხვის ოთახი კანონიერმა წარმომადგენელმა შემდეგნაირად აღწერა: „ჩვეულებრივი ოთახი იყო, სადაც სხვებიც მუშაობდნენ, შედიოდნენ და გამოდიოდნენ.“ პროკურატურის წარმომადგენელთა ნაწილი ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს ბავშვის განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილის მათ საჭიროებებზე მორგებას და ბავშვისათვის კეთლგანწყობილი გარემოს შექმნას „აუცილებლად უნდა იყოს განცალკევებული რამე ოთახი, სადაც მოხდება ამ ბავშვის იზოლირებულად მიყვანა და მისთვის უფლებების განმარტება, ბავშვი უფრო შეზღუდული და შებოჭილია ამდენი პოლიციელის დანახვისას და ამდენი სამართალდამცავი მუშაკის დანახვისას. როდესაც ეს ცალკე მოხდება ისეთ გარემოში, რომელიც არ ასოცირდება მაინცდამაინც პოლიციასთან და ვთქვათ სამართალდამცავ ორგანოსთან, ჩემი აზრით უფრო კარგი იქნება.“*

რაც შეეხება მოსამართლეების განცხადებებს ბავშვისათვის შესაბამის გარემოსთან დაკავშირებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმგარემოსდამიდგომებს,სადაცხვდებათვითონარასრულწლოვანი ბრალდებული თუნდაც სასამართლო პროცესზე და გამოძიების ეტაპზე. მათივე განმარტებით, სასამართლო დარბაზები **არ არის ადაპტირებული,** არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ბავშვმა ნაკლები სტრესი განიცადოს. რადგან დარბაზების პრობლემა არის ზოგადად სასამართლოში, რომელი დარბაზიც არის თავისუფალი მოსამართლეებს იქ უწევთ არასრუწლოვანთა პროცესის ჩატარება. ერთ-ერთ მოსამართლე აცხადებს: *„ჩვენ სასამართლოში არ გვაქვს ისეთი დარბაზი, რომელიც იქნება არასრულწლოვანზე მორგებული. უფრო მეტიც, ვინაიდან განვიხილვთ ასევე ნაფიც მსაჯულებს, ჩვენვე განვიხილავთ არასრულწლოვნის საქმეებს იმავე დარბაზში. მინდა გითხრათ, რომ იმდენად გრანდიოზულია ეს დარბაზი, რომ მე როგორც მოსამართლე, მეც კი სხვა პასუხისმგებლობით შევდივარ ამ დარბაზში იმდენად დიდია, აკუსტიკაც კი სხვა არის და ა.შ. და დახურულ სხდომაზე მაქსიმუმ ექვსი ადამიანი ვართ ამხელა დარბაზში. ესეც ჩვენი ინფრასტრუქტურის პრობლემაა, მართალია მათ არ აქვთ პრეტენზია, თუმცა მე როგორც განმხილველ მოსამართლეს, მე თვითონვე მაქვს განცდა, რომ მე ძალიან შემაღლებულზე ვზივარ, ისინი ძალიან დაბლა არიან, სასურველია ჩვენ ყველანი ერთ სიბრტყეზე ვიყოთ.“*

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ჩამოყალიბდეს სპეციალური სტანდარტები ბავშვისთვის მეგობრული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით მართლმსაჯულების განმახორციელებელ ყველა უწყებაში. ჩამოყალიბდეს და დაიგეგმოს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა ეტაპობრივად, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

უზრუნველყონ სპეციალური სტანდარტების ჩამოყალიბება ბავშვისთვის მეგობრული გარემოს უზრნველყოფის მიზნით მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოებში, დაიგეგმოს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა საშუალოვადიან და გრძელვადიან პრესპექტივაში.

ნაწილი 4. სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი

ძალიან მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ როგორია სახელმწიფო პოლიტიკა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარების კუთხით, განსაკუთრებით ბრალდებული არასრულწლოვანის უფლებების რეალიზების თვალსაზრისით. კანონმდებლობის და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების საჯარო განცხადებების გარდა, სახელმწიფო პოლიტიკა

ასახვას ჰპოვებს სხვადასხვა სახის სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში. ძირითადი დოკუმენტები, რომლებსაც პირდაპირი ან/და ირიბი შეხება აქვთ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან არის - ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმა და სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რომ განვიხილოთ ამ დოკუმენტების დადებითი მხარეები და ის ხარვეზები, რაც იკვეთება მათი იმპლემენტაციის პროცესში.

4.1 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმა

2014 წლის 9 ივლისს საქართველოს მთავრობის N445 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა <u>საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა</u> (2014-2015 წლებისთვის), ასევე საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შემადგენლობა და მისი დებულება. აღნიშნული გეგმა განახლდა 2016 წელს და მოიცავს 2016-2017 წლების პერიოდს. დადგენილების საფუძველზე აღნიშნული აქტის მიზანი იყო, რომ საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვნად მიიჩნევდა მოქმედი აქტების პარალელურად მიღებული ყოფილიყო საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიასთან (2014-2020 წლებისთვის) შესაბამისობაში განსაზღვრავდა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. აღნიშნული გეგმა მოიცავს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითად სფეროს, მათ შორის ბავშვთა უფლებების დაცვის ნაწილს (მე-12 თავი), რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება (12.6 თავი).

4.2 სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულება №591-ის საფუძველზე, შეიქმნა სისხლის სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. საბჭო უფლებამოსილია, შეიმუშაოს და განახორციელოს სისხლის სამართლის რეფორმა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ასევე, კოორდინაცია გაუწიოს სისხლის სამართლის სფეროში საუწყებათაშორისო საქმიანობას. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან როგორც სამთავრობო უწყებების, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. საკოორდინაციო საბჭოს წესდება განსაზღვრავს საბჭოს წევრობასა და ფუნქციებს. აღნიშნული საბჭოს მიერ პერიოდულად ხდება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლება.

სტრატეგია შეიცავს შემდეგ მიმართულებებს - სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია; პოლიციის რეფორმის

სტრატეგია; პროკურატურის რეფორმის სტრატეგია; იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმის სტრატეგია; სასამართლო სისტემის რეფორმის სტრატეგიული მიმართულებები; პენიტენციური სისტემის რეფორმის სტრატეგია; პრობაციის სისტემის რეფორმის სტრატეგია; **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია**; იურიდიული განათლების რეფორმის სტრატეგია; სახალხო დამცველის აპარატის სტრატეგია; სისხლის სამართლის სისტემაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სტრატეგია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტარტეგია მოიცავს შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს:

1. კანონმდებლობის დახვეწა;

2. დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენცია;

3. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ზომების განვითარება;

4. პატიმრობის გამოყენება მხოლოდ უკიდურესი შემთხვევაში;

5.კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია;

6. პროფესიონალთა სპეციალიზაცია;

7. სტატისტიკური/საინფორმაციო სისტემის განვითარება;

8. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

აღნიშნული სტრატეგიების საფუძველზე შესაბამისად შემუშავებულია სამოქმედო გეგმა, რომელშიც უნდა იყოს ასახული კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით, რომლის განხორციელებასაც ზედამხადველობა უნდა გაუწიოს საკოორდინაციო საბჭომ.

4.3 ზოგადი ანალიზი

ზოგადად დადებითად უნდა შეფასდეს სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში სხვადასხვა სახის კომპონენტების ასახვა, რომლებიც ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მიმართულებებს. ეს ნათლად გამოხატავს სახელმწიფოს სურვილს დადებითი ცვლილებები მოახდინოს ამ მიმართულებით. თუმცა ანალიზმა აჩვენა, რომ არსებობს გარკვეული გამოწვევები სამოქმედო გეგმების ეფექტიანობასთან დაკავშირებით. გამოიკვეთა ძირითადი ხარვეზები, რაც ამ დოკუმენტებს ახასიათებს, კერძოდ:

- **ინდიკატორები**

არსებობს ზოგადი სტანდარტები, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ინდიკატორები. ინდიკატორი უნდა იყოს. S

(Specific) = სპეციფიკური (კონკრეტული, დეტალური, კარგად განსაზღვრული) M (Measurable) = გაზომვადი (ციფრები, რაოდენობა) A (Achievable) = მიღწევადი (შესაძლებელი) R (Realistic) = რეალისტური (რესურსების გათვალისწინებით) T (Time-bound) = დროში გაწერილი (უნდა გააჩნდეს შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა, ე.წ. „დედლაინი“).

სამოქმედო გეგმებში ასახული კონკრეტული ინდიკატორები უმეტეს შემთხვევაში არ შეესაბამება ამ მოთხოვნებს, რის გამოც გაურკვევლია თუ როგორ უნდა მოხდეს ამა თუ იმ აქტივობის შესრულების შეფასება.

მაგალითად, სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში (8.4.1) 2016-2017 წლის აქტივობად მითითებულია - საჭიროების შემთხვევაში ბრალდებულ/მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა პირობების გაუმჯობესება. პასუხისმგებელ უწყებად მითითებულია - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. ინდიკატორად არის მითითებული - ადგილობრივი და საერთაშორისო მონიტორინგის შეფასება. ამგვარი ინდიკატორის საშუალებით საკმაოდ ბუნდოვანია როგორ უნდა მოხდეს ამ აქტივობის შესრულების შეფასება, რა ჩაითვლება ამ აქტივობის შესრულებად, მაგალითად, ერთი კედლის შეღებვა, თუ საცხოვრებელი კორპუსის აშენება.

გარდა ამისა, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმაში (პ.12.6.1.1), ასევე სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში (პ.8.6.1), 2016-2017 წლის განსახორციელებელ აქტივობად მითითებულია შესაბამის პროფესიონალთა სპეციალიზაცია, ხოლო ინდიკატორად, ორივე გეგმაში მითითებულია პროფესიონალთა რაოდენობა. აღნიშნული აქტოვობიდან გამომდინარე, გაურკეველია, რომელი უწყების, რა რაოდენობის თანამშრომელთა გადამზადება იგეგმება. აღნიშნული აქტივობის შესრულებად ჩაითვლება, როგორც 5 პროფესიონალის გადამზდება, ასევე 505-ის. რა გეგმა აქვთ შესაბამის უწყებებს ამ მიმართულებით, ბუნდოვანია.

- **პასუხისმგებელი უწყებები**

როგორცადამიანისუფლებათადაცვისსამთავრობოგეგმაში(პ.12.6), ასევე სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში (პ. 8.1.2., 8.3.1., 8.7.1., 8.6.1., 8.7.1), კონკრეტული აქტივობის შესრულებაზე, ხშირ შემთხვევაში პასუხისმგებელია რამოდენიმე უწყება. ასეთი ტიპის ხარვეზები ახასიათებს ასევე სხვა სამოქმედო გეგმებსაც, იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც პასუხისმგებელ ინსტიტუციად მითითებულია მხოლოდ ერთი უწყება. ასეთ შემთხვევებში, ვერ ხდება იმის განსაზღვრა, კონკრეტული აქტივობის რომელ ნაწილზე არის პასუხისმგებელი თითოეული უწყება.

სამოქმედო გეგმებში ასახული აქტივობების ნაწილი არ შესრულებულა. მაგალითად, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმაში (პ.12.6.3.2), ასევე სისხლის

სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში (პ.8.4.1), 2016 წლის განსახორციელებელ აქტივობად მითითებულია ანალიტიკური კვლევების მომზადება და გამოქვეყნება. პასუხისმგებელ უწყებებად მითითებულია მთავარი პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო. მიუხედავად ამისა, 2016 წელს, ჯერჯერობით მსგავსი ტიპის ანგარიშები გამოქვეყნებული არ არის.

ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმაში (12.6.1.3) 2016-2107 წლის აქტივობად მითითებულია ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნა. პასუხისმგებელ უწყებად მითითებულია მხოლოდ მთავარი პროკურატურა, რაც ცოტა გაუგებარია, ვინაიდან მსგავსი საჭიროება აქვს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე ყველა უწყებას და განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტროს. როგორც კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, გეგმის შესრულება არც ამ კუთხით განხორციელებულა. ასევე უნდა აღნიშნოს, რომ არც მთავარ პროკურატურას არ აქვს მითითებული შესაბამისი თანხა, რაც საჭირო იქნება ასეთი ტიპის აქტივობის განსახორციელებლად.

- **ბიუჯეტი**

ერთ-ერთი მთავარი ხარვეზი, რაც ძირითადად ახასიათებს ზემოთ მითითებულ სამოქმედო გეგმებს არის ბიუჯეტის არარსებობა. ხშირ შემთხვევაში დაფინანსების წყაროდ მითითებულია - სახელმწიფო ბიუჯეტი და დონორი ორგანიზაციები. თუმცა არ არის მითითებული კონკრეტული თანხის მოცულობა, რაც საჭიროა ამა თუ იმ აქტივობის შესრულებისთვის. გარდა ამისა, საბიუჯეტო თანხებთან მიმართებაში - არ ჩანს თუ როგორ და ბიუჯეტის რა ნაწილშია შესაძლებელი მოხდეს ამ რესურსის გათვალისწინება; არის ან იქნება თუ არა ამ პროცესში ჩართული ფინანსთა სამინისტრო; აისახება თუ არა ხარჯები პროგრამული ბიუჯეტირების რომელიმე ნაწილში თუ ზოგადად ბიუჯეტის სხვა კომპონენტებში და ა.შ. ასევე ბუნდოვანია დონორი ორგანიზაციებიდან დაფინანსების მიღების გზები და არ არის გაწერილი რა ბედი ეწევა აღნიშნული აქტივობის შესრულებას, თუ ამ თანხების მოძიება ვერ მოხერხდა.

- **მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიზნები და ამოცანები**

სამოქმედო გეგმებში ასახულია სხვადასხვა ტიპის აქტივობები. მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება ეფუძნებოდეს კონკრეტულ მტკიცებულებებს (კვლევებს, ანგარიშებს, ანალიზს) და საჭიროებებს, რომლებიც არსებობს ცალკეული ამოცანების გადაჭრის კუთხით. კვლევამ აჩვენა, რომ სამოქმედო გეგმაში აქტივობების ასახვის შეთავაზებას ახდენენ შესაბამისი უწყებები, თუმცა ამ დოკუმენტებში არ ჩანს თუ რა სახის მტკიცებულებებს ეფუძნება ამა თუ იმ აქტივობის საჭიროება. შესაბამის სამოქმედო გეგმაში ასახვის ერთადერთი ფილტრი არის ის, რომ იგი უნდა შეესაბამებოდეს სტრატეგიის ზოგად ამოცანებს, თუმცა კონკრეტულად რის საფუძველზე ხდება იმის განსაზღვრა არის თუ არა ამა თუ იმ აქტივობის ასახვის საჭიროება, ამ დოკუმენტებში არ ჩანს. ამას ისიც ცხადყოფს, რომ მიუხედავად

სამოქმედო გეგმებში არსებული ვალდებულებისა, შიდა კვლევები, უწყებების მხრიდან, არ გამოქვეყნებულა.

გარდა ამისა, კვლევამ გამოკვეთა საჭიროებები, სხვადასხვა მიმართულებებით, ხოლო სამოქმედო გეგმებში, სამომავლო აქტივობებში ასახული არ არის. კერძოდ, ბავშვისთვის **ადაპტირებული გარემოს შექმნა** და ამ მიმართულებით პასუხისმგებელ უწყებად, როგორც უკვე აღვნიშნეთ მხოლოდ მთავარი პროკურატურა არის მითითებული (როცა საჭიროება ყველა უწყებას აქვს, განსაუთრებით შსს-ს). ასევე კვლევამ გამოკვეთა **დაკითხვა/გამოკითხვის სახელმძღვანელო პრინციპების შექმნის საჭიროება**, ასევე ხარისხის **კონტროლის ეფექტიანი სისტემის შექმნა**, რა მიმართლებითაც შესაბამისი აქტივობები არ არის ასახული გეგმებში.

- **რისკები**

თითოეული გეგმის სხვადასხვა კომპონენტების შესრულებას შესაძლოა ახლავდეს რისკები, რომ გარკვეული მიზეზების გამო (პოლიტიკის ცვლილება, რესურსების მოძიების პროცესში არსებული პრობლემები და ა.შ) ვერ მოხდეს ამ აქტივობის შესრულება ან საჭირო გახდეს მისი კორექტირება. ნებისმიერი სამუშაო შეიცავს რისკს/რისკებს. უცილებელია რისკების მენეჯმენტი/მართვა, რომ ძირითადი სირთულეები, რომელიც თითოეული უწყების წინაშე შეიძლება წარმოიშვას, განხილული იყოს მისი განხორციელების დაწყებამდე და გათვალისწინებული იყოს შესაბამის გეგმებში. სამწუხაროდ ასეთი სახის რისკების შეფასების კომპონენტი სამოქმედო გეგმებში ასახული არ არის.

მისასალამებელია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში არის გათვალისწინებული კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა სხვადასხვა სახის საჭიროებები. თუმცა, ზემოაღნიშნული ხარვეზები ქმნის იმის რისკს, რომ გეგმებში ასახული აქტივობების უმრავლესობა ვერ შესრულდება .

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას

საქართველოს სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს

- **სამოქმედო გეგმებში ინდიკატორები განისაზღვროს "SMART" პრინციპით;**
- **სამოქმედო გეგმებში თითოეული აქტივობის შესრულების მიზნით განისაზღვროს კონკრეტული მოცულობის თანხა და მისი მოძიების გზები;**
- **სამოქმედო გეგმებში თითოეული აქტივობის შესრულებაზე განისაზღვროს თითოეული პასუხისმგებელი უწყების როლი და ფუნქცია;**

- **სამოქმედო გეგმებში კონკრეტული აქტივობის საჭიროება განისაზღვროს მტკიცებულებებზე დაყრდნობით;**
- **სამოქმედო გეგმებში კონკრეტული აქტივობის შერულებასთან დაკავშირებით განისაზღვროს რისკ-ფაქტორები, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მის შესრულებას.**

კვლევის აღნიშნული ნაწილის ანალიზის შედეგად, გამოკვეთა მნიშნელოვანი ხარვეზები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის დაკავება/სისხლის სამართლებრივი დევნა, დაცვის უფლების განხორციელება, საპროცესო წარმომადგენლების ჩართულობა, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარმოება და ზოგადად არაერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობა სხვადასხვა მიმართულებით. გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი, რაც კვლევის ფარგლებში გამოკვეთა, არის ხარისხის კონტროლის ძალიან სუსტი სისტემის არსებობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, რაც აღნიშნული სფეროს წარმატებული განვითარების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი უნდა იყოს. ასევე, ხარვეზები გამოკვეთა სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში ჩამოყალიბებულ საკმაოდ ბუნდოვან ხედვებთან დაკავშირებით, რაც ასეთი ტიპის დოკუმენტების ეფექტურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

II ნაწილი

პრაქტიკის (დასრულებული საქმეების) ანალიზი

როგორც კვლევის დასაწყისში აღინიშნა, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა განახორციელა 8 არასრუწლოვნის დასრულებული სისხლის სამართლის საქმის შესწავლა. ომბუდსმენის ოფისი წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება გაეცნოს დასრულებულ, კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს არასრულწლოვნებთან დაკავშირებით.

ნაწილი 1. შესავალი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებით საქართველომ გამოხატა ნება, რომ დაიცვას ბავშვთა ჭეშმარიტი ინტერესი. ამ მიზნით, კოდექსი იზიარებს უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომლის ფარგლებშიც უნდა განვითარდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა. იგი იყენებს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და რეგიონულ ინსტრუმენტებს, კერძოდ: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციას (CRC),[63] საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR)[64], გაეროს მინიმალურ სტანდარტებსა

[63] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის N44/25 რეზოლუციით და ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს.

[64] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, 1966 წლის 16 დეკემბერი, მიღებულია და ღიაა ხელმოწერისთვის, რატიფიცირებისა და მიერთებისათვის გაეროს გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200A (XXI) რეზოლუციით, გაეროს ხელშეკრულებათა კრებული, ტ. 993,

(სტანდარტები და ნორმები)[65] და კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW).[66]

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შექმნას და კოდექსით განმტკიცებულ ნებას, რომ ბავშვის ინტერესების დაცვა ცალკე სისტემატიზებული ნორმათა ერთობლიობით უნდა იყოს დარეგულირებული; ნორმათა ერთობლიობა უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს და ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ სხვა საერთაშორისო თუ რეგიონულ ინსტრუმენტებს, რომლის მონაწილეც არის სახელმწიფო.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული ნორმები პრაქტიკაში უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ კოდექსით გამოხატული მიზანი – ბავშვის საუკეთესო ინტერესი – თითოეული ინდივიდუალურ შემთხვევაში იქნას მიღწეული. საქართველოს სახალხო დამცველი სწორედ ამ მიმართულებით დაინტერესდა: შეესწავლა კოდექსით გათვალისწინებული ნორმების იმპლემენტაცია ყოველდღიურ პრაქტიკაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სამართალწარმოებაში მონაწილეობას არეგულირებს. შესაბამისად, შეფასების არეალი ძალიან ფართოა, იგი მოიცავს სამართლის სხვადასხვა სფეროს. საქართველოს სახალხო დამცველმა უპირატესად ამ სფეროებს შორის გამოყო სისხლის სამართალწარმოების პროცესში ბავშვების მონაწილეობის პრაქტიკა, აღნიშნული სამართალწარმოების თავისებურებებიდან გამომდინარე – იგი მეტად მკაცრ ურთიერთობებს არეგულირებს, შეიცავს მეტად შემზღუდავ ნორმებს და იწვევს ყველაზე მკაცრ შედეგებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა არასამთავრობო

---

65 გვ. 3.
გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ: 1990 წლის 14 დეკემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/45/112 (შემდგომში მოიხსენიება როგორც "რიადის პრინციპები"); გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ: 1985 წლის 29 ნოემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/40/33 (შემდგომში მოიხსენიება როგორც "პეკინის წესები"); გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი პირების დასაცავად: გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/45/113, დანართი 45, UN GAOR დამ. (N 49A) და 205, UN Doc. A/45/49 (1990) (შემდგომში "ჰავანის წესები"). "ჰავანის წესები" შეიცავს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანებზე ზრუნვისა და მათ მიმართ მოპყრობის დეტალურ მინიმალურ სტანდარტებს. იხ., აგრეთვე, სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებით მოქმედების შესახებ, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, 1997 წლის 21 ივლისი, რეზოლუცია 1997/30, შემდგომში "ვენის პრინციპები".

66 კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ: 1979 წლის 18 დეკემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/34/180.

ორგანიზაციასთან, „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“, თანამშრომლობის ფარგლებში შეისწავლა არასრულწლოვანთა მიმართ წარმოებული რვა სისხლის სამართლის დასრულებული საქმე. შესწავლილი საქმეების ანალიზი პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემების სრული განზოგადების შესაძლებლობას არ გვაძლევს. მიუხედავად ამისა, გარკვეული მოცულობით გვაძლევს ინფორმაციას, რა ტიპის ხარვეზები არსებობს და სავარაუდოდ, სხვა საქმეებშიც რა სახის პრობლემები შეიძლება არსებობდეს მაღალი ალბათობით.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში არ არის შეტანილი და გაანალიზებული ძიების სტადიაზე არსებული ის საქმე, რომლებიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აქვს წარმოებაში და რომლებშიც ფიქსირდებოდა სხვადასხვა სახის უხეში დარღვევები, მათ შორის, შესაძლო არასათანადო მოპყრობა სამართალდამცავი პირების მხრიდან[67]. ეს გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ კვლევის ინტერესს ამ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენდა მხოლოდ დასრულებული სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლა.

ნაწილი 2. სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლის მეთოდოლოგია

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, არასამთავრობო ორგანიზაციის, „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“, პროექტის „არასრულწლოვანი ბრალდებულების უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, ფარგლებში, არასრულწლოვანთა მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლის მიზნით, შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია გამოითხოვა საქართველოს საერთო სასამართლოებიდან[68] და პროკურატურიდან[69] 2016 წლის 01 იანვრიდან - 31 აგვისტოს მდგომარეობით. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, შემთხვევითი შერჩევის პრინციპითა და ტერიტორიულობის პრინციპის დაცვის მიზნის (ქვეყნის სრული ტერიტორიის მეტნაკლებად მოცვა) გათვალისწინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოითხოვა ათი[70] საქმე.

[67] არასრულწლოვანი ლ. შ.–ის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმე.

[68] 2016 წლის 01 იანვრიდან 31 აგვისტომდე არასრულწლოვანთა მონაწილეობით განხილულია 185 საქმე 240 პირის მიმართ, მათ შორის არასრულწლოვანი ბრალდებულს წარმოადგენდა 110 საქმეში (146 პირი), მოწმეს 23 საქმეში (32 პირი), დაზარებულს 52 საქმეში (62 პირი). გამართლდა - 2 არასრულწლოვანი. გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 79 საქმეზე (106 პირის) მიმართ მათ შორის ერთი პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად. საპროცესო შეთანხმება გაფორმდა 59 არასრულწლოვანთან. თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 35 არასრულწლოვან მსჯავრდებულს. სასჯელის არასაპატიმრო ღონისძიება შეეფარდა 70 არასრულწლოვან მსჯავრდებულს.

[69] 2016 წლის 01 იანვრიდან 31 აგვისტომდე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 128 არასრულწლოვნის მიმართ, შეწყდა 71 არასრულწლოვნის მიმართ, განრიდება გამოყენებულ იქნება 303 არასრუწლოვნის მიმართ, სამი სრულწლოვანის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო ხელახლა განრიდების პირობების დარღვევის გამო.

[70] საქმეები, რომლებზეც:

- დადგა გამამტყუნებელი განაჩენი (01 საქმე);
- დადგა გამამტყუნებელი განაჩენი საპროცესო შეთანხმების დადების შემდეგომ და არასრულწლოვანს სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა (02 საქმე);
- დადგა გამამტყუნებელი განაჩენი საპროცესო შეთანხმების დადების შემდეგომ და არასრულწლოვანს სასჯელის სახედ არ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა (01 საქმე);
- დადგა გამამტყუნებელი განაჩენი არსებითი სასამართლო განხილვის შემდგომ და არასრულწლოვანს სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა (04 საქმე);

სასამართლომ გამოთხოვილი ათი საქმიდან წამოადგინა რვა სისხლის სამართლის საქმე და მოწოდებული ვერ იქნა ისეთი სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც დადგა გამამართლებელი განაჩენი, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, 2016 წლის 1 იანვრიდან არსებობს მხოლოდ ერთი სისხლის სამართლის საქმე, სადაც დადგა გამამართლებელი განაჩენი არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ და იგი ამჟამად იმყოფება განხილვის ეტაპზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და პროცესი დასრულებული არაა.

გამოთხოვილი საქმეების შესწავლისას ყურადღება გამახვილდა მხოლოდ პროცედურული გარანტიების აღსრულების ხარისხზე, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით არის განსაზღვრული, ხოლო თავად ბრალეულობის საკითხი, საქართველოს სახალხო დამცველის მანდატის გათვალისწინებით, არ შეგვისწავლია.

ნაწილი 3. არასრულწლოვანთა მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებში გამოკვეთილი ხარვეზები

საქმეთა შესწავლის შედეგად, არ გამოვლინდა არსებითი ხასიათის უფლებადარღვევის ფაქტები. დაფიქსირდა ცალკეული არასისტემური ხასიათის ხარვეზები, რა დროსაც გამოძიების მიმდინარეობის ეტაპზე, ისევე როგორც სასამართლო განხილვის ეტაპზე, პროცესის მწარმოებელ პირთა ქმედება არ შეესაბამებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის ზოგად პრინციპებსა და მიზნებს. შესაბამისად, ჯეროვნად არ განხორციელდა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ დასრულებული სს საქმეების მასალების შესწავლა თავისთავად საკვლევი საკითხის ყველა მხრიდან ანალიზის შესაძლებლობას არ იძლევა, რის გამოც კვლევის ეს ნაწილი პირველ ნაწილთან ერთად უნდა გაანალიზდეს. ყველაზე პრობლემური წინასასამართლო ანგარიშის მომზადების საკითხი აღმოჩნდა, თუმცა, ასევე, ცალკეულ შემთხვევებში გამოვლინდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას სხვადასხვა ხასიათის დარღვევები: პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში; არასრულწლოვანთა მიმართ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო; ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებული ხარვეზები.

ანალიზის შედეგად გამოვლენილი საკითხები ვერ შეფასდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემური და არსებითი ხასიათის ხარვეზებად, თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების

- დადგა გამამტყუნებელი განაჩენი არსებითი სასამართლო განხილვის შემდგომ და არასრულწლოვანს სასჯელის სახედ არ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა (02 საქმე).

პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად, მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის უპირობო უზრუნველყოფისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნებისმიერი ხარვეზისა და შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტის ღრმა ანალიზი, ადეკვატური შეფასება და მისი აღმოფხვრის გზების ძიება.

ნაწილი 4. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. ამასთან, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე პროცესის მწარმოებელი პირი არასრულწლოვანს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას.[71]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი[72], ასევე, ადგენს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებასა და გათვალისწინების სავალდებულო სტადიებს სისხლის სამართლის პროცესში, კერძოდ:

- განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას;
- სასჯელის დანიშვნისას;
- საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას;
- არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას;
- პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27–ე მუხლის მე–5 ნაწილში განმარტებულია, რომ პროკურორის დადგენილებით ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შესაძლებელია მომზადდეს და გათვალისწინებულ იქნეს სხვა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სტადიაზეც, თუ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობა და ვადები ამის შესაძლებლობას იძლევა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ ზღუდავს მხარეს და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში პროკურორს შეუძლია მიმართოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი

[71] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-14 მუხლი
[72] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების თხოვნით, რათა დროულად შეიქმნას დოკუმენტი, რითიც პროცესის მონაწილე მხარეები და სასამართლო უკეთ აღიქვამენ არასრულწლოვნის მახასიათებლებს, აღზრდისა და განვითარების პირობებს, ოჯახურ ვითარებას და სხვა მდგომარეობას. უკეთ მოხდება მხარეების და სასამართლოს მიერ არასრულწლოვან ბრალდებულთან მიმართებაში გარკვეული გადაწყვეტილების მიღება, რა დროსაც გათვალისწინებული იქნება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. ამ პრინციპის დაუცველობამ კი შესაძლოა დააზიანოს როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზნები და პრინციპები, ისე თავად კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი.

თავისთავად ის ფაქტი, რომ გამოძიების ეტაპზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება არ არის სავალდებულო და შესაბამისად, მისი მოუმზადებლობა კანონის დარღვევა არ არის, უკეთესი იქნება ამგვარი პრაქტიკის აქტიური დანერგვა. აღნიშნული ემსახურება თავად ბავშვის ინტერესებს. ასევე, მისი გამოყენება წახალისებულია კანონით, რადგანაც ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება ზოგადად, ყველა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც დისკრეციული გადაწყვეტილება მიიღება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ არასრულწლოვანთა მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებში, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, როგორც წესი მზადდება სასამართლოს მიერ სასჯელის განსაზღვრის ეტაპზე. შესწავლილ საქმეთაგან არ დაფიქსირებულა შემთხვევა, როდესაც ინდივიდუალური შეფასების ანგარიში მომზადდა გამოძიების ეტაპზე, ბრალდების მხარის მიმართვის შედეგად.

სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში უმჯობესი იქნებოდა ბრალის წარდგენის შემდეგ უკვე მომზადებულიყო ინდივიდუალური შეფასების ანგარიში და არა სასჯელის გამოტანის ეტაპზე. კერძოდ, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალის წარდგენა მოხდა 2016 წლის 29 თებერვალს, განაჩენი გამოტანილი იქნა 13 ივნისს. ამ სამი თვის განმავლობაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით შესაძლოა მომხდარიყო მისი ინდივიდუალური შეფასება და ამით შესაძლოა **გამამტყუნებელი განაჩენის ნაცვლად, უფრო მსუბუქი, განრიდების ღონისძიების საჭიროებაც გამოკვეთილიყო.**

არასრულწლოვანთა მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლისას ასევე გამოვლინდა ერთი შემთხვევა, როდესაც გამოძიების ეტაპზე პროკურატურამ არასრულწლოვნის სასარგებლოდ არ გამოიყენეს კანონის უკუქცევითი ძალის პრინციპი და არ გამოიყენა დისკრეციული უფლებამოსილება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისათვის. ანგარიში კვლავ მომზადდა მხოლოდ სასჯელის დანიშვნის ეტაპზე:

არასრულწლოვანს ბრალი წარედგინა 2015 წლის 29 დეკემბერს, ხოლო აღკვეთის ღონისძიებად გირაო შეეფარდა 30 დეკემბერს, თუმცა გადაუხდელობის გამო ბრალდებული იმყოფებოდა პატიმრობაში განაჩენის გამოტანამდე. აღნიშნულ საქმეში მოსამართლის მიერ შესაბამის უწყებისთვის მიმართვა მოხდა 2016 წლის 11 მარტს, შეფასება დაიწყო 11 მარტს – შეფასება დასრულდა 15 მარტს, ხოლო განაჩენი გამოტანილი იქნა 2016 წლის 16 მარტს. მხოლოდ სასჯელის დანიშვნის ეტაპზე მოხდა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ მოქმედებდა[73] მაშინ, როდესაც არასრულწლოვნის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, გამოძიების მიმდინარეობისას იგი ძალაში შევიდა. შესაბამისად, უკეთესი იქნებოდა, გამოძიების მიმდინარეობისას უკვე გამოეყენებინა პროკურორს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64–ე მუხლის თანახმად „თუ არასრულწლოვან ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ მოსამართლე ვალდებულია თავისი ინიციატივით, ყოველ 20 დღეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის და გაუქმების მექანიზმია შემოთავაზებული, ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219–ე მუხლის მე–4 ნაწილის „ბ“ პუნქტშიც. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაშიც პროკურორს შეეძლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებისთანავე მიემართა შესაბამისი უწყებისთვის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მოთხოვნით, რათა აღნიშნულ დოკუმენტში დაფიქსირებული მახასიათებლების გათვალისწინებით მომხდარიყო არასრულწლოვნისთვის შერჩეული აღკვეთის ღონისძიების ხელახალი შეფასება.

უფრო მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოიკვეთა არასრულწლოვანთა მიმართ წარმოებულ სამ სისხლის სამართლის საქმეში, სადაც ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების ვალდებულება უგულვებელყოფილია განაჩენის გამოტანის ეტაპზეც კი, კერძოდ:

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ არასრულწლოვანთა მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის ერთ საქმეში ინდივიდუალური შეფასების ანგარიში პირველი ინსტანციის სასამართლოში არ წარდგენილა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე სავალდებულო იყო. უფრო დეტალურად, არასრულწლოვანს ბრალი წარედგინა 2015 წლის 17 აგვისტოს, ხოლო გორის რაიონულ

[73] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მიღებული იქნა 2015 წლის 12 ივნისს, რომელიც ამოქმედდა 2016 წლის 01 იანვრიდან).

სასამართლოში საქმეზე განაჩენი გამოტანილი იქნა 2016 წლის 14 თებერვალს. განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო წესით. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მიერ მიმართვა მოხდა 2016 წლის 25 აპრილს, შეფასება დაიწყო 25 აპრილს – დასრულდა 10 მაისს. სასამართლომ განაჩენი გამოიტანა 2016 წლის 13 ივნისს. აღნიშნულ საქმეში გამოვლინდა, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიში პირველი ინსტანციის სასამართლოს არ ჰქონდა სასჯელის დანიშვნის ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულოა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27–ე მუხლის თანახმად.

სისხლის სამართლის მეორე საქმეში, რომელიც საპროცესო შეთანხმებით დასრულდა 2016 წლის 29 მარტს ხუთი არასრულწლოვანის მიმართ რუსთავის საქალაქო სასამართლოში, საერთოდ არ შეიცავს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს.

ზემოაღნიშნული საქმიდან ცალკე გამოყოფილ საქმეში, ერთი არასრულწლოვნის მიმართ, რომელზეც უფრო ადრე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება – 2016 წლის 9 თებერვალს, ასევე არ ფიქსირდება ინდივიდუალური შეფასების ანგარიში.

ნაწილი 5. პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. ამასთან, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე პროცესის მწარმოებელი პირი არასრულწლოვანს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელი აუცილებელ პირობად მიიჩნევს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პირებს გააჩნდეთ სათანადო კვალიფიკაცია, რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას.

საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს აწარმოებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები (გარდა ამავე კოდექსით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა).

თუ არასრულწლოვნის მიმართ საპროცესო მოქმედება არასპეციალიზებულმა პირმა განახორციელა, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ პირს, რომელმაც უნდა განაგრძოს პროცესი, ხოლო არასპეციალიზებული პირი დაუყოვნებლივ უნდა ჩამოშორდეს არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესს.

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეს განიხილავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლე, ხოლო თუ საქმე კოლეგიურად განიხილება – სასამართლო კოლეგია, რომლის სულ მცირე ორი წევრი, მათ შორის, კოლეგიის თავმჯდომარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლეა. სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეს განიხილავს სასამართლო პალატა, რომლის სულ მცირე ორი წევრი, მათ შორის, პალატის თავმჯდომარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლეა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ არასრულწლოვანთა მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლისას გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევებში საქმეში წარმოდგენილია არასრულწლოვანთა პროცესში მონაწილე მხოლოდ ზოგიერთი პირის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. მაგალითად, ზოგ შემთხვევაში მოიპოვება ადვოკატისა და გამომძიებლის სპეციალიზაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი, თუმცა, არ არის წარმოდგენილი პროკურორისა და მოსამართლის შესაბამისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი ინფორმაცია. ხოლო, ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებში წარმოდგენილია მხოლოდ ადვოკატის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მართალია, ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეში პროცესის მწარმოებელი ამა თუ იმ პირის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობა არ მიუთითებს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტის (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის წარმართვა მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირების მიერ) აუცილებელ დარღვევას, თუმცა, სასურველია არასრულწლოვანთა მიმართ წარმოებულ ყველა საქმეში ხსენებული დოკუმენტის არსებობა, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, ხოლო, მეორე მხრივ, გამოირიცხება კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტის შესაძლო უგულვებელყოფის ალბათობა.

ნაწილი 6. არასრულწლოვანთა მიმართ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის[74] თანახმად, საგამოძიებო მოქმედების ღამით ჩატარება დაუშვებელია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ არასრულწლოვანთა მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანი პირების მიმართ სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულია ღამით. მაგალითად, ერთ შემთხვევაში არასრულწლოვანი მოწმე დაკითხულია 00:55 – 02:25 საათებს შორის პერიოდში, ხოლო სხვა შემთხვევაში საგამოძიებო ექსპერიმენტი არასრულწლოვანი პირის მონაწილეობით ჩატარდა 03:20 – 03:20 საათებს შორის პერიოდში.

სამწუხაროდ, ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეებში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დასაბუთება იმ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რამაც გამოიწვია კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ღამით ჩატარების აუცილებლობა. მსგავსი პრაქტიკის დამკვიდრება, საფრთხის შემცველია კანონმდებლის ნებისა და არასრულწლოვანი პირის საუკეთესო ინტერესების პრინციპის დაცვის მიზნებისთვის. საგამოძიებო უწყების წარმომადგენლებმა პატივი უნდა სცენ არასრულწლოვანი პირის საუკეთესო ინტერესებს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპების დაცვით, უნდა მოახდინონ საგამოძიებო მოქმედებების ღამის საათებში ჩატარება. მსგავსი მოქმედება გამოწვეული უნდა იყოს ეფექტიანი გამოძიების წარმოების ინტერესებითა და კონკრეტული შემთხვევის გადაუდებელი აუცილებლობის სტანდარტის დაცვით. ამ გარემოებების შესახებ ინფორმაცია კი მოცემული უნდა იყოს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ამსახველ დოკუმენტში (ოქმში).

ნაწილი 7. არასრულწლოვნის დაკავების კანონიერი საფუძველი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171–ე მუხლის თანახმად: „თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ამასთანავე, პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე“. ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული არასრულწლოვნის

[74] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ.111, ნაწ. 5.

დაკავება მოხდა სასამართლოს განჩინების გარეშე, კონკრეტულად, კი დაკავება მოხდა 2015 წლის 27 დეკემბერს, მაშინ როდესაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ჯერ არ იყო სრულად ამოქმედებული (კოდექსის ძირითადი ნაწილი ამოქმედდა 2016 წლის 01 იანვრიდან) და მოქმედებდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი წესები.

საქმის მასალების თანახმად, სამართალდამცავ ორგანოებს გაუჩნდათ დასაბუთებული ვარაუდი, რომ კონკრეტული დანაშაული ჩაიდინა არასრულწლოვანმა. პროკურორს უნდა მიემართა სასამართლოსთვის რათა მიეღო განჩინება პირის დაკავების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანის ვინაობა გამომძიებლის მიერ დადგინდა, ასევე, მოწმეთა დახმარებით დადგინდა პიროვნების საცხოვრებელი არეალი. აქედან ივარაუდება, რომ დაკავების დაყოვნება განჩინების მიღების მიზნით არსებით ზიანს და დაბრკოლებას ვერ გამოიწვევდა, შესაბამისად, პროკურორს უნდა მიემართა სასამართლოსთვის არასრულწლოვანი ბრალდებულის დაკავების შუამდგომლობით. თუ არსებობდა დაკავების დაყოვნების შედეგად არსებითი ზიანის საფრთხე, ეს ნათლად უნდა ყოფილიყო დასაბუთებული. აქვე გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 316–ე მუხლის თანახმად: „არასრულწლოვანს პროცესის ყველა სტადიაზე ეპყრობიან განსაკუთრებული ყურადღებით.“ სასამართლო კონტროლი არასრულწლოვანი პირის დაკავების პროცესშივე მეტად უზრუნველყოფს არასრულწლოვანი პირის გარანტირებული უფლებების ეფექტურ დაცვას.

ნაწილი 8. საგამოძიებო მოქმედებების დოკუმენტირება

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ არასრულწლოვანთა მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლისას გამოიკვეთა, საპროცესო დარღვევები, კერძოდ, დანაშაულის შესახებ შეტყობინების მიღების შედეგად მოქალაქეთა გამოსაკითხად წასულმა პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს არასრულწლოვანი, რომელმაც ზეპირი გამოკითხვის დროს ნათესავის გარემოცვაში აღიარა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, თუმცა, მას არ გადაეცა ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი, არც დაკავების ოქმი. მოგვიანებით გამომძიებელი დაკითხვის ოქმში აღნიშნავს, რომ შესაბამისი დოკუმენტაცია არ გაფორმდა ვინაიდან ბლანკები თან არ ჰქონდათ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ არასრულწლოვანთა დაკავება წარმოადგენს უკიდურეს ღონისძიებას[75], რასაც სახელმწიფო დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს და სწორად განსაზღვროს უპირატესი სიკეთე. ამას გარდა, არასრულწლოვანისთვის სტრესული გარემოს განმუხტვის, ფსიქოლოგიური სტრესის მოხსნისა და ამავე

[75] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მუხლი 9

კანონის დინამიური განვითარების მიზნით, არასრულწლოვანის დამკავებელ პირს ავალდებულებს სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე აცნობოს მის კანონიერ წარმომადგენელს არასრულწლოვანის დაკავების შესახებ, ასეთის არარსებობის ან კონტაქტის დაუმყარებლობის შემთხვევაში კი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. აღნიშნული ნორმით გამყარებულია არასრულწლოვანის პროცესუალური უფლებები და საჭიროა მისი ფსიქო–სოციალური მდგომარეობის გათვალისწინება. ნიშანდობლივია, რომ არასრულწლოვანთა გარდამავალი დებულებით[76], გამყარებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ უფლებები. შესაბამისად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით სამართლდამცავი ორგანოს თანამშრომელთა ტექნიკური მოუმზადებლობის მიუხედავად აუცილებელია გაფორმდეს და ბრალდებულს დაკავების მომენტში, გადაეცეს დაკავების ოქმი ხოლო, თუ ის არ დაუკავებიათ, – ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი.

ნაწილი 9. რეკომენდაციები

ზემოთ მოცემული საქმეების ანალიზი, გამოვლენილი ხარვეზები ცხადყოფს პრაქტიკის გაუმჯობესების აუცილებლობასა და მიზანშეწონილობას. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილე პირები უნდა გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული გულისხმიერებით, ემპათიურობით, კომპეტენტურობითა და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებულობით. შესაბამისად, ეფექტიანი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით, სახალხო დამცველი გასცემს შემდეგ რეკომენდაციებს:

1.პროკურატურამ მხოლოდ სათანადო დასაბუთებით, გადაუდებელი აუცილებლობისას დააკავოს არასრულწლოვანი პირი სასამართლოს განჩინების გარეშე;

2. საგამოძიებო მოქმედებების შედეგები ყოველთვის დაფიქსირდეს შესაბამის ოქმებში;

3. საგამოძიებო მოქმედების გადაუდებელი აუცილებლობით, ღამის საათებში ჩატარების სრული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები მიეთითოს შესაბამის ოქმში;

4.პროცესის მწარმოებელი პირების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი მოთავსდეს თითოეულ სისხლის სამართლის საქმეში;

5.არასრულწლოვანი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობისას, თავად არასრულწლოვანის ინტერესების დაცვის მიზნით, პროკურატურამ გამოხატოს დისკრეციული ნება

[76] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მუხლი 49.2

და დროულად მიმართოს შესაბამის უწყებას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მოთხოვნით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული არ არის სავალდებულო გამოძიების ეტაპზე;

6. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში მომზადდეს დროულად, ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებამდე, როდესაც ანგარიშის მომზადება სავალდებულოა კანონით.